ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 29 სექტემბერი, 2022 №192 (8970) ფასი: 80 თეთრი

ნეკა დოროყაშვილი: „ნიკოლოზს სურდა განქორწინება, მაგრამ უნდოდა, მისი ფიქტიური ცოლი ვყოფილიყავი“

გვ.5

„ქართული ოცნება გონს მოეგოს! ასეთი მიგრაცია საშიშია!“

დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნება“ პრობლემების გადაჭრას კი არ ცდილობს, მოვლენების განვითარებას ელოდება. არაფერს არ აკეთებს, მოლოდინის რეჟიმშია“

გვ.3

„პუტინს თუ უნდა საქართველოში შემოჭრა, ამისთვის ლუგარის ლაბორატორიაც საკმარისია“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ვაგზლის პირველი ხაზიდან მეორე ხაზზე გადასვლა რომ გაგვირთულდა და 10-15 წუთით ვაგვიანებთ, ამიტომ საზღვრები ჩავკეტოთ?!“

გვ.3

„არ დაიჯეროთ, რომ ადამიანებს, ვინც შემოდის რუსეთიდან, შემოაქვთ ფული“

ოთო აბესაძე: „ზამთარი გველოდება საკმაოდ მძიმე. ვპროგნოზირებ ენერგოტარიფების გაძვირებას“

„პუტინი ვირთხაა, რომელმაც საკუთარი თავი კუთხეში მიიმწყვდია“

გვ.4

რატომ არ გამოაცხადა მობილიზაცია კადიროვმა?

ირაკლი ღარიბაშვილი: „კატეგორიულად ვგმობ ალექსანდრ ლუკაშენკოს „ვიზიტს“ რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში“

გვ.3



გვ.6

ევროკომისიამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მერვე პაკეტი წარადგინა

„აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის, რუსლან აბაშიძის განცხადება დანაშაულია“

გვ.4

თამაზ ხუბუა: „რუსეთი არის ქართველთა გამანადგურებელი, გენოციდის ავტორი ქვეყანა“

4 სალომე ზურაბიშვილი ლუკაშენკოს ოკუპირებულ აფხაზეთში ვიზიტს გმობს

5 „ოცნების“ ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავეს

5 ლარსზე ვინ და რატომ დააკავა რუსულმა სპეცსამსახურმა

6 „ან მოგკლავენ, ან უნდა მოკლა“

1993230720223

„პუტინს თუ უნდა საქართველოში შემოჭრა, ამისთვის ლუგარის ლაბორატორიაც საკმარისია“

პაატა ზაქარეიშვილი: „ვაგზლის პირველი ხაზიდან მეორე ხაზზე გადასვლა რომ გაგვირთულდა და 10-15 წუთით ვაგვიანებთ, ამიტომ საზღვრები ჩავკეტოთ?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, საქართველო-რუსეთის საზღვარზე შექმნილი ვითარება, ის, რაც ლარსზე ხდება, ძალიან აღელვებს ჩვენს მოსახლეობას, თუმცა ხელისუფლება შეშფოთების მიზეზს ვერ ხედავს. არის მოწოდებები, რომ ჩაიკეტოს საზღვარი. როგორია თქვენი შეფასებები, რამდენად სახიფათო ვითარებაა? რა პოლიტიკა აირჩია ჩვენმა ხელისუფლებამ?

– „ქართულმა ოცნებამ“ აირჩია ხელისუფლების შენარჩუნების პოლიტიკა, რომელიც დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, რუსეთსა და მის კეთილგანწყობაზე. სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით მე ვერ ვხედავ განსაკუთრებულ საფრთხეებს. ეს არ ნიშნავს, რომ ხვალ არ გამოჩნდება, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების მთავარი პრობლემა არის იმაში, რომ ის საზოგადოებას ინფორმაციას არ აწვდის. არ მიმდინარეობს დებატები, საიდანაც ინფორმაციას მოგვაწვდიან. ბი-ბი-სი-სა და სი-ენ-ენ-ზე უფრო მეტი ინფორმაცია გადის, რა ხდება ლარსზე, ვიდრე საქართველოს ტელევიზიებით. ეს სამარცხვინო სიტუაციაა. როცა ინფორმაცია არ არის, სწორედ მაშინ ჩნდება ჭორები და მითები. ამიტომ შს სამინისტრო დღეში ორ-სამჯერ მაინც უნდა ატარებდეს ბრიფინგს და ამას შს მინისტრი აკეთებდეს, რათა მოსახლეობა იყოს ინფორმირებული, რამდენი შემოვიდა და რამდენი გავიდა. მე რომ ვუყურებ სომხეთის და თურქეთის სტატისტიკას, ჩანს, რომ საქართველოდან დაახლოებით იმდენივე გადის, რამდენიც შემოდის. თანაც ცნობილია, რომ რუსების უმრავლესობა მიდის თურქეთში. მათ იქ ურჩევნიათ ყოფნა. ამიტომ საჭიროა მეტი პროფესიონალიზმი და საკითხისადმი სიღრმისეული დამოკიდებულება.

– რა რისკებზე შეიძლება რომ ვისაუბროთ?

– კი რისკებიც არის, რა თქმა უნდა. უფრო ეს არის საზოგადოებრივი თვალსაზრისით, რომ ეს ადამიანები, ვინც იმყოფებიან საქართველოში, მოხდება მათი თავშეყრა, ლოთობა, დებოში. საზოგადოებრივი წესრიგის მიმართულებით ვხედავ პრობლემებს, მაგრამ არა სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარე. ხომ ვხედავთ, თავად უკრაინა მზადაა, ეს ხალხი მიიღოს, ოღონდ არ იბრძოლონ და ხალხი არ ხოცონ. თუ მართლა სოლიდარულები ვართ უკრაინის მიმართ, აქ მაინც მივბაძოთ და ჩვენც სოლიდარულები ვიყოთ. რა გვჭირს ამისთანა, რომ ელემენტარულმა რაღაცებმა შეგვაშინა? თურმე მეტროში ხალხმრავლობაა. ეს ხალხი, ვინც აქ შემოდის, ის კატეგორიაა, რომელიც საკუთარ კომფორტს ეძებს. ისინი არ არიან პუტინის აგენტები. პირიქით, პუტინი შეიჭრა მათი კომფორტის ზონაში. მათ ბოდიში

და რა ხდება უკრაინაში, სულ ფეხებზე ჰკიდიათ. უცებ მათ შეეხოთ ეს ყველაფერი, უცებ გაიწვიეს ჯარში, ეს კი მათ არ უნდოდათ.

– საზოგადოების ერთი ნაწილი მაინც შიშით შეჰყურებს ამ პროცესს, რომ ერთ დღეს არ განაცხადოს პუტინმა, ჩემს მოსახლეობას ვიცავო და მოგვიბრუნდეს, ისე, როგორც უკრაინაში მოიქცა.

– ეს ძალიან ზედაპირული მსჯელობაა. პუტინს თუ უნდა საქართველოში შემოჭრა, ამისთვის ლუგარის ლაბორატორიაც საკმარისია. საამისოდ სხვა უამრავი მიზეზი ექნებოდა. არ სჭირდება მას ეს მაქინაციები, ეს არის ძალიან ზედაპირული და არასერიოზული მსჯელობა. ეს ხალხი მართლა გამოქცეულია რეჟიმს. თუ ჩვენ ამ კაცობრიობის და ამ სამყაროს ნაწილი ვართ, ფეხი უნდა ავუწყოთ პროცესებს. ჩვენ გარშემო ომებია. კი, ეს ხალხი ომს არ გამოურბის, მაგრამ გამოურბის ომში არ მონაწილეობას. ჩვენ რაღაც ფორმით ჩართული უნდა ვიყოთ მსოფლიო მნიშვნელობის პროცესებში. ადამიანი გაურბის მის სახელმწიფოს, არ უნდა ომში მონაწილეობა. ის ხდება პოტენციურად მკვლელი და მას ეს არ უნდა. მე ასე ვუყურებ ამ ყველაფერს და კარგია, რომ მაქვს საშუალება, ჩემი განსხვავებული აზრი დავაფიქსირო თქვენთან ინტერვიუში.

– ისინი გამორბიან თავის გადარჩენის მიზნით, იმიტომ, რომ არ უნდათ ომში მონაწილეობა, მაგრამ თავისსავე ქვეყანაში რატომ არ უპირისპირდებიან პუტინს?

– ადამიანის ბუნებრივი რეაქციაა გაქცევა. როცა საფრთხე ემუქრება, ყველა გარბის. შეწინააღმდეგება არ არის ბუნებრივი რეაქცია. პირველი რეაქცია არის შიში და გაქცევა. რატომ გამორბიან და პუტინს შეუტიონო, ეს სასაცილოა. ჩვენ გვეშინია, როცა მსოფლიო ინგრევა, აქ არავინ შემოვიდეს და ჩვენი კომფორტის ზონა არ დაგვერღვეს? და ვაგზლის პირველი ხაზიდან მეორე ხაზზე გადასვლა რომ გაგვირთულდა და 10-15 წუთით ვაგვიანებთ, ამიტომ საზღვრები ჩავკეტოთ?!

– ხელისუფლებაც ამ პოზიციაზეა, რომ საზღვრები არ უნდა ჩაიკეტოს.

– მთელი ტრაგედია ისაა, რომ ხელისუფლებას არანაირი პოზიცია არ გააჩნია. პოზიცია გამაჩნია მე! მას კი სჭირდება ფული! რაც უფრო მეტი ადამიანი შემოვა, მით უფრო მეტი ფული იქნება საქართველოში. აი ეს უნდათ. მათ უნდათ, რომ „ქართული ოცნება“ იყოს კარგად. სხვა არაფერი აინტერესებთ. მთავარია ბევრი ფული შემოვიდეს, ხოლო საიდან შემოვა ეს ფული, ირანიდან, თურქეთიდან თუ ამ შემთხვევაში რუსეთიდან, არ აინტერესებთ. ფულს სუნი არა აქვს, დაახლოებით ეს დამოკიდებულება აქვთ.

– ოპოზიცია აქტიურობს ამ კუთხით და საზღვრის ჩაკეტვას ითხოვს, ნაწილი სავიზო რეჟიმის გამკაცრებას. ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა წევრმა, 1.000 ლარი გადავახდევინოთ ყველა შემომსვლელ რუსსო.

– თანხის გადახდის იდეა მეც მომწონს, გადაიხადონ ფული, რაღაც შემოიტანონ ბიუჯეტში. ჩაკეტვა არაა სწორი, რადგან ხალხი მართლა გაურბის იქ შექმნილ ვითარებას. ვართ თუ არა ქრისტიანული სახელმწიფო? ვართ თუ არა საერთაშორისო სამართალს მიერთებული სახელმწიფო? თუ ჩვენ სხვა ქვეყნებისგან ვითხოვთ სიკეთეებს, ჩვენც უამრავი ლტოლვილი გვყავს, მაშინ კეთილი უნდა ვინებოთ და ჩვენც უნდა ჩავდოთ ჩვენი წილი ინვესტიცია საერთაშორისო სამართალში. სამართალი კი გეუბნება, როცა ხალხი გარბის, უნდა მიიღო!

– ჩვენ არ უნდა ჩავკეტოთ, მაგრამ თვითონ რუსეთი რატომ არ უკეტავს საზღვრებს, რატომ უშვებს გამოქცეულებს?

– დაკეტვა ასე მარტივი არ არის. რომ დაკეტავ, რაღაც დეკლარაცია უნდა მიიღო, რის საფუძველზე კეტავ?! მე მომინდა და დავკეტე, ესე არ ხდება.

– ამ ნაწილობრივ მობილიზაციასაც დიდი ამბები მოჰყვა რუსეთში და სიტუაციის გართულების ხომ არ ეშინია პუტინს?

– რა თქმა უნდა. რაღაცით უნდა გაამართლოს საზღვრების დაკეტვა. ჯერ ერთი, მას ურჩევნია, რომ ეს პროტესტანტი ხალხი გავიდეს, თორემ ეს ხალხი რომ შიგნით დარჩეს, პრობლემებს შექმნიან. კი დაარქვა შეზღუდული და ნაწილობრივი მობილიზაცია, მაგრამ სინამდვილეში ტოტალურია. ყველას იწვევენ, ბრმებსაც, ყრუებსაც, ინვალიდებსაც, აბსოლუტურად ყველას. ამიტომ ურჩევნიათ პროტესტანტები გავიდნენ და მორჩილები დარჩნენ. საზარბაზნე ხორცად, ესეც ეყოფათ.

– ბატონო პაატა, შიდა პოლიტიკურ პროცესებსა და ოპოზიციაში მიმდინარე ამბებზე რას იტყვით? დიდი დუღილი და დაპირისპირებაა ნაციონალურ მოძრაობაში. ის მთავარ ოპოზიციურ ძალად წოდებული პარტიაა და ამიტომ ინტერესიც დიდია. რა ხდება, რატომ ებრძვიან ნიკა მელიას და რატომ დაიწყო ასეთი რღვევა?

– ეს შიდა პარტიული მოვლენებია. მე ბრწყინვალე პარტიის წევრი ვიყავი, რესპუბლიკური პარტიის. საქართველოს არც კი დაესიზმრება ასეთი კარგი პარტია, როგორიც ის იყო. იქაც მოხდა შიდა პროცესები და პრაქტიკულად დაიშალა. მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა პარტიაში და მათ დიდ პატივს ვცემ. ჩვენმა პარტიამაც ვერ გაუძლო გარე რყევებს. იმის თქმა მინდა, რომ ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმში, ადრე თუ გვიან, რაღაც ვირუსი შეიჭრება. ნაცმოძრაობაც ცოცხალი ორგანიზმია. ძალიან არ მომწონან ისინი და ვთვლი, რომ ბევრი უარყოფითი თვისება აქვთ და ძალიანაც დააზიანეს საქართველო თავის დროზე. თუმცა, მათ არცთუ ისე ცოტა ამომრჩეველი ჰყავთ და მე მათ პატივს ვცემ. ეს რეალური ძალაა, სადაც რეალური ძალაა, იქ დაჯგუფებებია, დაპირისპირებებია. ამიტომ ის, რაც ახლა მათ შიგნით ხდება, უფრო ნორმალურია, ვიდრე არანორმალური.

„გამიხარდება, ნაციონალური მოძრაობა თუ დაიშლება. ნაციონალური მოძრაობის ნეშომპალა ძალიან სასარგებლო იქნება ქართული პოლიტიკური ნიადაგისათვის“

პირადად მე არ მომწონს ნაციონალური მოძრაობა და მირჩევნია, რომ დაიშალოს. მისი ამომრჩეველი კი გადანაწილდება სხვადასხვა პარტიებში. გამორიცხულია, რომ ნაცმოძრაობის ხმები დაიფანტოს და წავიდეს „ქართულ ოცნებაში“. ამიტომ, თუ ნაციონალური მოძრაობა დაიშლება, გაძლიერდება სხვა ოპოზიციური პარტიები და გათანაბრდება ის გაკრეფილი შუა.

– ფიქრობთ, რომ ნაციონალური მოძრაობის დაშლის პროცესია დაწყებული?

– არ ვიცი რა პროცესია. თუ შეინარჩუნებენ ერთობას, მე მივიღებ ამ რეალობას, ხოლო თუ დაიშლებიან, ეს გამიხარდება. ეს იმიტომ გამიხარდება, რომ ამით ქართული პოლიტიკური სპექტრი გამდიდრდება. მაგალითად, ხე რომ წაიქცევა ტყეში, ის ხე გახმება, დალპება და გაანაყოფიერებს ნიადაგს. ნაციონალური მოძრაობის ნეშომპალა ძალიან სასარგებლო იქნება ქართული პოლიტიკური ნიადაგისათვის.

გიორგი კვირიკაშვილი: „ბელარუსის მარგინალიზებული „ლიდერის“, ლუკაშენკოს სამარცხვინო ნაბიჯი — იმოქმედოს, როგორც პუტინის მარიონეტმა“

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს ოკუპირებულ აფხაზეთში ვიზიტს „სამარცხვინო ნაბიჯად“ აფასებს. ამის შესახებ იგი პირად Twitter გვერდზე წერს.

– ბელარუსის მარგინალიზებული „ლიდერის“, ლუკაშენკოს სამარცხვინო ნაბიჯი – იმოქმედოს როგორც რუსეთის სახელმწიფოს კიდევ უფრო მარგინალიზებული ჩაძირული მეთაურის, პუტინის მარიონეტმა. ვერავინ შეცვლის ქართველებისა და აფხაზების ბედს მშვიდობიანად იცხოვრონ ერთიან საქართველოში – იმედია უფრო ადრე, ვიდრე გვიან, – წერს კვირიკაშვილი.

„ლელო“: „ფაქტი მოითხოვს დაუყოვნებლივ და სწრაფ რეაგირებას“

– 28 სექტემბერს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბელარუსის პრეზიდენტის, ალექსანდრ ლუკაშენკოს ჩასვლა საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული სუვერენული ინტერესების უხეში ხელყოფა, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების უგულებელყოფაა – ნათქვამია პარტია „ლელოს“ განცხადებაში ლუკაშენკოს აფხაზურ „ვიზიტთან“ დაკავშირებით.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ვიზიტი იმის მანიშნებელია, რომ ბელარუსმა უახლოეს მომავალში შესაძლოა არაღიარების პოლიტიკას გადახედოს:

– აღნიშნული ვიზიტი მიანიშნებს, საფრთხე, რომ ბელარუსი უახლოეს მომავალში განიხილავს არაღიარების პოლიტიკის გადახედვას, რეალურია.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტი მოითხოვს დაუყონებლივ და სწრაფ რეაგირებას.

1. საქართველომ კონსულტაციებისთვის უნდა გამოიწვიოს ბელარუსში საქართველოს მიერ აკრედიტებული საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

2. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბელარუსს უნდა წარუდგინოს ოფიციალური

ნოტა, რომლითაც ბელარუსის მხარეს მოსთხოვს ოფიციალური განცხადების გაკეთებას – საქართველოს სუვერენიტეტს აღიარებას, მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

3. აღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, დღის წესრიგში უნდა დადგეს ბელარუსის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის კონსულტაციებზე გაწვევის საკითხი.

4. საქართველოს ხელისუფლებამ დაუყონებლივ დაიწყოს კონსულტაციები ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ბელარუსისთვის დაწესებული საერთაშორისო სანქციების რეჟიმის გამკაცრების თაობაზე, ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების შემთხვევაში.

5. გაეროს და ეუთო-ს შესაბამის ფორმატებს და, ევროკავშირის პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტს ეთხოვოს, აღნიშნულ ფაქტზე მსჯელობის გამართვა და აღნიშნულ ორგანიზაციებში ბელარუსის ელჩების გამოძახება, განმარტებების მისაცემად.

ხელისუფლება, რომელმაც უკვე მრავალი წელი დაკარგა მშვიდობიანი მოლაპარაკებების ფორმატების ეფექტიანად გამოყენების გზით რაიმე შედეგის მისაღწევად, დღეს, როდესაც ჩვენი რეგიონი ისტორიული გამოწვევის წინაშე დგას, მორიგ შესაძლებლობას უშვებს ხელიდან, როდესაც ვერანაირი ქმედით პოლიტიკას ვერ უპირისპირებს რუსეთის დღის წესრიგს ჩვენს ოკუპირებულ რეგიონებში, – წერს „ლელო“.

28 სექტემბერს ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო ოკუპირებულ აფხაზეთში ჩავიდა და ე.წ. პრეზიდენტს, ასლან ბჟანიას შეხვდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბელარუსის ელჩი დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს.

ოფიციალური განცხადება გაავრცელა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ასევე საქართველოს პრეზიდენტმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 იულისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართული ოცნება გონს მოეგოს! ასეთი მიგრაცია საშიშია!“

დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნება“ პრობლემების გადაჭრას კი არ ცდილობს, მოვლენების განვითარებას ელოდება. არაფერს არ აკეთებს, მოლოდინის რეჟიმშია“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ლარსის საბაჟო-გამშვებ პუნქტთან განვითარებულ მოვლენებზე, რუსეთის მოქალაქეების მასობრივ შემოსვლაზე, როგორ ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს ხელისუფლების პოლიტიკა?

– ქაოსი უნდა შეწყდეს. ძალიან დიდი ნაკადი შემოდის, ამას ხალხი ხედავს, რაც ძალიან დიდ შეშფოთებას იწვევს. ამაზე ხელისუფლებას რეაქცია უნდა ჰქონდეს. ცალსახაა, რომ ხელისუფლება მზად არ არის ამ რაოდენობის ნაკადის მისაღებად. მე საზღვრის ჩაკეტვას არ ვემხრობი. თუმცა, კონტროლი – თუ ვინ შემოდის, რა მიზნით და რამდენი ხნით, ცხადია, უნდა მოხდეს. აქ ორი აზრი არ არსებობს. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ინტერესები უნდა დაიცვას სახელმწიფომ. ქართველები არ უნდა დაიჩაგრონ საკუთარ ქვეყანაში, სტუდენტები ქუჩაში არ უნდა დარჩნენ. ამაზე უნდა ეზრუნა „ქართულ ოცნებას“.

ხელისუფლება გათვლას ეკონომიკურ ზრდაზე აკეთებს, მაგრამ რეალურად ეკონომიკა ვერ იზრდება. ეს არ არის ის გზა, რომელიც ეკონომიკურ ზრდასა და გაჯანსაღებას გამოიწვევს. სოფლის მეურნეობაში გაიზარდა წარმოება თუ სხვა რომელიმე დარგში, რომელიც სამუშაო ადგილებს შექმნიდა, აქ დაასაქმებდა ადამიანებს და არ მოუწევდათ ქვეყნიდან გაქცევა. ასეთი კატასტროფული მიგრაცია, როგორიც ახლა გვაქვს, თუ გაგრძელდა, ქვეყანა მართლაც დაიცლება ქართველებისგან და მხოლოდ უცხო ტომები დარჩებიან. ეს იქნება კატასტროფა იმ ქვეყნისთვის, რომელსაც ისედაც აქვს დემოგრაფიული პრობლემები. ამაზე უნდა იფიქროს ხელისუფლებამ. ამაზე უნდა ჰქონდეს პოლიტიკა, თუ რა გზებით უნდა უშველოს ამ პრობლემებს.

მეორე პრობლემა, რაც ასევე შეიძლება საქართველოს წინაშე დადგეს, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის გართულებული მდგომარეობა და ცხელი ომია. ჩვენ ვართ ის მოსაზღვრე ქვეყანა ორივე სახელმწიფოსთვის, სადაც მართვად დაიწყებენ სომხეთის მოქალაქეებიც და აზერბაიჯანის მოქალაქეებიც გადმოსვლას. არის ამისთვის მზად ხელისუფლება?! ამ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელეს საერთოდ ან რა პოლიტიკა აქვთ?! რატომ დუმან, რას აკეთებენ, რა პრიორიტეტები დგას ამ საკითხებზე უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი, რითი არიან დაკავებულები?!

– უშიშროების საბჭოს მოწვევაზე, როგორც ვიცით, უარი განაცხადეს. როგორ ფიქრობთ, რატომ?

– უშიშროების საბჭოს მოწვევას მაშინ აქვს აზრი, როდესაც მინისტრებს, პარლამენტის თავმჯდომარეს, კომიტეტებს, პრეზიდენტს აქვთ რეალური ფუნქცია და როდესაც ისინი არიან გადაწყვეტილების მიმღები პირები რეალურად. დღევანდელი უშიშროების საბჭოს შემადგენლობა იმდენად დაკნინებულია, მათ შეკრებას რა აზრი აქვს, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ?!

არაფორმალური საბჭო, ერთიორი კაცის შემადგენლობით, ვინც წყვეტს რეალურად ყველაფერს, ისინი ალბათ იკრიბებიან. როგორც ჩანს, მათი გადაწყვეტილებაა იხელმძღვანელონ დღევანდელი დღით. ისინი პრობლემას მხოლოდ საკუთარი გადასახედიდან უყურებენ. ქვეყნის ფართომასშტაბიან ინტერესებზე არ ფიქრობენ. დღეს ეს ხალხი მხოლოდ ეკონომიკური სარგებლით საზღვრავს ყველაფერს, მაგრამ ეკონომიკური სარგებელიც არ მოაქვს ამ ვითარებას ქვეყნისთვის.

– როგორ ფიქრობთ, თუ რუსეთში შეიცვლება პოლიტიკური რეალობა, მის კვალდაკვალ „ქართული ოცნებაც“ შეცვლის რუსეთთან მიმართებით, პოლიტიკას?

– პირველ რიგში, პოლიტიკა რომ შეცვალო, პოლიტიკა უნდა გქონდეს. რაც არა აქვთ, იმას როგორ შეცვლიან. ეს არ არის პოლიტიკა, ეს ქაოსია. „ქართული ოცნება“ დღეს ჩირგვებშია, გადამალულია. ხომ ხედავთ, თავიანთი რიგებიდან როგორ გამოყვეს ოთხი კაცი, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები, ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ელჩი საქართველოში, ლანძღონ. ეს არ არის პოლიტიკა. ეს არის სტრატეგიული პარტნიორების მისამართით შეტევა, რაც სრულიად წარმოუდგენელი უგუნურებაა.

რაც შეეხება ზოგადად იმას, რომ ხელისუფლება გონს მოეგება და პოლიტიკას შეცვლის, არ მჯერა. არ მწამს „ქართული ოცნების“ ფერისცვალების. ეს, დღეს, სრულიად წარმოუდგენელია. ეს რესურსი იქ არ არსებობს. ერთადერთი, რაზეც აქვთ მთელი პოლიტიკა აწყობილი, საშინაოც და საგარეოც, არის – ომი გინდათ! ომი არავის არ უნდა. ერთი ადამიანი დაასახელონ, რომელსაც ომი უნდა, მაგრამ ეს არის ის რიტორიკა, რომელიც აწყობთ და გაიძახიან. იმდენი პრობლემაა დაგროვილი ქვეყნის შიგნით, ისეთი მაღალია მიგრაციის რიცხვი, რომ ეს ძალიან

საშიშ სახეს იღებს ქვეყნისთვის, რომელსაც ისედაც აქვს დემოგრაფიული პრობლემები.

ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი, პოლიტიკოსობა არ არის საჭირო, მიხვდება, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელია. „ქართული ოცნება“ პრობლემების გადაჭრას კი არ ცდილობს, მოვლენების განვითარებას ელოდება. არაფერს არ აკეთებს, მოლოდინის რეჟიმშია.

„არ დაიჯეროთ, რომ ადამიანებს, ვინც შემოდის რუსეთიდან, შემოაქვთ ფული“

ოთო აბესაძე: „ზამთარი გველოდება საკმაოდ მძიმე. ვპროგნოზირებ ენერგოტარიფების გაძვირებას“

„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ოთო აბესაძე პასუხობს.

ნონა ცაბაძე

– ოთო, ვისმენთ შეფასებებს, რომ ამდენი რუსის შემოსვლა, სხვა პრობლემების გარდა, სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებსაც შეგვიქმნისო. მეორე მხრივ, გვესმის, რომ მათ ფული შემოაქვთ ქვეყანაში. რას იტყვით თქვენ?

– ეს არის მითი და ილუზია, რომ ამ ადამიანებს, ვინც შემოდის რუსეთიდან, შემოაქვთ ფული და ამ ფულს ხარჯავს საქართველოში. ეს არის მითი! თუ ვინმეს შემოაქვს ფული, შემოაქვს საკუთარი საარსებო ფული. რაც შეეხება ეკონომიკურ ფულს, მსგავსი არაფერი არ შემოდის საერთოდ. საქართველოში შემოდის ვალუტა, რომელსაც აქვს თავის მიზანი, ის ფული ხურდავდება და გადის ისევ რუსეთში ან გადის ევროპაში. შესაბამისად, იმის ილუზია, რომ აქ რაღაცა ეკონომიკური აქტორები კეთდება და საქართველოში რუსული კაპიტალი იდება, ეს არის ტყუილი და შემოგდებული ბლეფი. არც ერთი რუსული მსხვილი ინვესტიცია საქართველოში არ განხორციელებულა და არც განხორციელდება. იმიტომ, რომ აქ შემოსულ ყველა რუსულ კაპიტალს ერთადერთი მიზანი აქვს, ეს არის ერთგვარი განსაწმენდელი მათი ფინანსური ნაკადების. ეს არის და ეს, მორჩა!

– ანუ ჩვენთვის არანაირი სარგებელი არ მოაქვთ?

– აბსოლუტურად არანაირი!

– და რით გვაზიანებენ?

– პირველ რიგში, გვაზიანებენ რეპუტაციულად, რადგან საქართველოდან გასული ყოველი თეთრი ევროპაში, რომელსაც აქვს რუსული წარმომავლობა, ეს დამატებით შავ ხვრელს აჩენს ევროპულ ბაზარზე და ჩვენზე ქმნის კითხვის ნიშნებს. ძალიან დიდ რეპუტაციულ ზიანს გვაყენებს. საქართველო ხდება ერთ-ერთი ხვრელი, საიდანაც რუსეთში გადის ფინანსური ნაკადები. ეს კი ძალიან დიდი პრობლემაა.

– გარდა ამისა, სერიოზული პრობლემებია უკვე ქალაქში, ჭირს გადაადგილება, გადაჭედილია ტრანსპორტი. ეს კი საზოგადოებაში უკმაყოფილებას ზრდის.

– ძალიან ბევრი კუთხით ეს არის საზიანო, როგორც ეკონომიკურად, ისე სხვადასხვა სოციალური ასპექტებით. მაგალითად, თუ ქვეყანა დაუშვებს იმას, რომ მიიღოს რუსი „დევნილები“, ეს არის სასაცილო და კომედია! იმ კუთხით, რომ ქვეყანა, რომელიც არის საქართველოს ოკუპანტი, მის მოქალაქეს იღებ, როგორც ლტოლვილს?! ეს რაღაცა ნონსენსია და სიგიჟეა! მეტიც, ახლა ის მოცემულობაა, რომ საქართველომ მიბაძოს ევროკავშირს და აგრესიულად გაუმკაცროს სავიზო რეჟიმები საქართველოში შემოსულ რუსებს.

– პუტინის რეჟიმს გამოექცნენ და საზღვარი როგორ უნდა ჩავუკეტოთო, ამასაც ვისმენთ.

– კი ბატონო, არის ასეთი მოსაზრებაც, რომ ისინი გამოექცნენ პუტინის რეჟიმს, მაგრამ არავის გამოქცევა არ უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისთვის რაღაც ზიანის მომტანი. რადგან ცალსახად გვაქვს ზიანი და ეს სახეზეა, ამიტომ უპირობოდ უნდა ჩაიხსნას!

– საგრძნობლად გაძვირდა უძრავ-მოძრავი ქონება. მოიმატა ბინის ქირამ. ბინებზე ძალიან დიდი მოთხოვნაა.

– კიდევ უფრო მეტად გაძვირდება. გარდა იმისა, რომ არის უდიდესი მოთხოვნა, ასევე, ინფლაციური ფასები ზოგადად სამშენებლო წარმოებას აძვირებს. როცა წარმოება ძვირდება, უძრავი ქონების ფასიც ძვირდება. როცა უძრავი ქონება ძვირდება, ძვირდება იჯარაც, როცა ამას მაღალი მოთხოვნაც ემატება, ამით კიდევ უფრო ძვირდება. ეს არის ჩვეულებრივი ეკონომიკური ქვაკუთხედი და წლიდან წლამდე ვპროგნოზირებ საშუალოდ უძრავი ქონების 30-დან 50%-მდე ფასის ზრდას.

– როგორ უნდა დავარეგულიროთ ეს საკითხი, რომ ამდენი პრობლემა ავიცილოთ თავიდან? ცალსახად არ უნდა შემოუშვან თუ სავიზო რეჟიმი უნდა გამკაცრდეს?

– დღევანდელ რეალობაში, ყველაზე ლოიალური სავიზო პოლიტიკა რუსეთთან გვაქვს ჩვენ. ჩვენზე უფრო მკაცრი აქვს აზერბაიჯანს და სომხეთს, ეს პარადოქსია. ასევე, უფრო მკაცრი აქვს თურქეთს. მე მესმის, რომ ეს გამოწვეულია ტურისტული ეგიდით, გვინდა, რომ მეტი ტურისტი მივიღოთ. თუმცა დღევანდელ სიტუაციაში შემოსული რუსი, უკვე ტურისტი აღარ არის. ეს არის ჩვეულებრივი ეკონომიკურად სარჩენი სუბიექტი. ჩვენს ქვეყანას კი ამის შესაძლებლობა არ აქვს.

– ამ ფონზე რა მოუვა ლარს? გაიზრდება თუ არა ინფლაცია?

– ინფლაცია უკვე გვაქვს, 12%-იანი წლიური საშუალოდ. როცა ინფლაცია ორნიშნა გაქვს ქვეყანაში, ეს უკვე გაზრდილია. მეტი რაღა უნდა გაიზარდოს?! ადამიანები თვიდან თვემდე გრძნობენ გაზრდილ ფასებს. სხვა დანარჩენი უკვე ლირიკაა და პრაქტიკაში ყველამ ვნახეთ, რაც ჭირს ლარს. ამას ზედმეტი ახსნა არ სჭირდება, ადამიანები ამას მაღაზიაში ხედავენ ყოველდღე.

– ასევე ძალიან დიდია მოსახლეობის გადინება. მიდიან ქართველები და მოდიან რუსები. ესეც ხომ სერიოზული პრობლემაა?

– ძალიან მარტივად რომ ავიღოთ, რატომ ხდება ასე? საქართველოში, ადამიანებს რა შემოსავალიც ჰქონდათ, პირობითად, თუ ადამიანს თვიდან თვემდე სჭირდებოდა 1.000 ლარი, დღეს იგივე საქონელში და მომსახურებაში სჭირდება 1.540 ლარი. რეალურად ადამიანების შემოსავლები არ გაიზარდა, გაიზარდა ხარჯი. როცა ადამიანის შემოსავალს სჭარბობს ხარჯი, მას სხვა გზა არ დარჩენია, გარდა ერთისა, ემიგრაციისა. რა ქნან, როცა ხარჯი, შიდა ვალი აჭარბებს შემოსავალს?! გამოსავალი ერთია, ქვეყნიდან წასვლა.

– როგორი ზამთარი გველოდება?

– ზამთარი გველოდება საკმაოდ მძიმე. ვპროგნოზირებ ენერგოტარიფების გაძვირებას. რაც თავისთავად აისახება მოსახლეობაზე და გაძვირდება კომუნალური სერვისები. საშუალოდ 10%-ით. სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე მივიღებთ დაახლოებით 15%-იან ფასების ზრდას და ინფლაციის ფონზე, შემოსავლების ზრდა იქნება ნული პროცენტი! აქედან გამომდინარე საშუალოდ 10%-ით კვლავ გაღარიბდება მოსახლეობა ზამთარში, შემოსავლების მომატების გარეშე.

– ზეთი და პური გაგიიაფდებათო, გვაიმედებენ.

– მანდ კიდევ სხვა დეტალებია. რაღაც მიზერზეა საუბარი. ზეთზე საექსპორტო გადასახადი მოხსნა რუსეთმა და ეს ასახავს დაახლოებით 30-თეთრიან ფასდაკლებას, მეტს არა. ხოლო პურს რაც შეეხება, ხორბლის იმპორტი აღარ ხორციელდება, პირდაპირ ფქვილი შემოდის და ეს კი არ გააიაფებს, არამედ დაიჭერს იგივე ფასს, რაც არის დღეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მომდევნო სამი თვე პური არ გაძვირდება. თუმცა არც გაიაფდება არაფერი, ეს ტყუილია. ზოგადად ეკონომიკაში თუ რამე ძვირდება, ის აღარ იაფდება არასოდეს!

„სასაცილოა, რომ ქვეყანა, რომელიც არის საქართველოს ოკუპანტი, მის მოქალაქეს იღებ, როგორც ლტოლვილს?!“

ირაკლი ღარიბაშვილი: „კატეგორიულად ვგმობ ალექსანდრ ლუკაშენკოს „ვიზიტს“ რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში“

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბელარუსის პრეზიდენტის, ალექსანდრ ლუკაშენკოს ოკუპირებულ აფხაზეთში სტუმრობას გამოეხმაურა. პრემიერი „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე წერს, რომ ეს „ვიზიტი“ არღვევს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

– კატეგორიულად ვგმობ ალექსანდრ ლუკაშენკოს „ვიზიტს“ რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში და შეხვედრებს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმთან. ეს ნაბიჯი არღვევს საქართველოს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო კანონმდებლობას, ასევე ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივ ურთიერთობებს, – აცხადებს ღარიბაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ოკუპირებულ აფხაზეთში ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს ვიზიტს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ის მომხდარს მკაცრად გმობს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ალექსანდრ ლუკაშენკოს ოკუპირებულ აფხაზეთში ჩასვლის გამო, ბელარუსის მხარეს დამატებითი განმარტებები მოსთხოვა და საგარეო უწყებაში პროტესტის ნიშნად საქართველოში ბელორუსის ელჩი ანატოლი ლისი დაიბარეს.

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო დღეს ოკუპირებულ აფხაზეთში ჩავიდა, სადაც ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიას შეხვდა.

„პუტინი ვირთხაა, რომელმაც საკუთარი თავი კუთხეში მიიმწყვდია“

რატომ არ გამოაცხადა მობილიზაცია კადიროვმა?

მარიამ მჭედლიშვილი

პუტინის მიერ გამოცხადებულ ნაწილობრივ მობილიზაციასა და სხვა საკითხებზე ბელარუსის თავისუფალ მედიას ესაუბრა პოლიტოლოგი სლოვაკეთიდან გრიგორი მესეჟნიკოვი.

– რატომ გადაწყვიტა პუტინმა მობილიზაცია? ხომ არ გაიმარჯვეს ადამიანებმა, რომლებიც მხარს უჭერენ ომს ბოლომდე?

– პუტინი მობილიზაციაზე იმიტომ წავიდა, რომ უკვე გამოსავალი არ აქვს. არსებითად, ის არის ვირთხა, რომელმაც თავი კუთხეში მიიმწყვდია. რუსეთის არმია აგებს. თუ ასეთი დინამიკა გაგრძელდა, უკრაინას შეეძლება გაათავისუფლოს რუსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები წლის ბოლომდე. რეალობა ხდება დონბასისა და ყირიმის გათავისუფლების პერსპექტივაც კი.

ომის პარტიაზე რაიმეს თქმა ძნელია. ინსაიდერი არ გახლავართ, მაგრამ ვფიქრობ, რომ პუტინი თვითონ ეკუთვნის მას. რასაც ის აკეთებს, სცდება გონივრული ქმედებების საზღვრებს. პირველ რიგში, ესაა რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ. იმავდროულად იგი ემუქრება დასავლეთს ბირთვული ომით. ასეთი რამ საბჭოთა კავშირის დროსაც არ ყოფილა.

– პუტინის განცხადებები ბირთვული დარტყმის თაობაზე სერიოზულად უნდა მივიღოთ?

– არიან ადამიანები, რომლებიც ამას ბლეფად მიიჩნევენ. თვითონ ამბობს, რომ ეს ბლეფი არაა. ვფიქრობ, რომ პუტინის მსგავსი პოლიტიკოსების მიმართ უნდა ვიხელმძღვანელოთ გულწრფელობის პრეზუმპციით. ის იმაში მდგომარეობს, რომ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ ვარიანტს, რომელიც ბლეფი გვგონია. ბირთვული საკითხების სპეციალისტი არა ვარ.

ექსპერტები ამბობენ, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა მოქმედებდა ურთიერთგანადგურების დოქტრინის საფუძველზე და რეალურად, გაურბოდა ისეთ სიტუაციებს, რომლებიც ბირთვულ ომს გამოიწვევდა. რუსეთის ხელისუფლებამ ასეთი მიდგომა გადააფასა. ის თვლის, რომ ბირთვულ ომში შესაძლებელია გამარჯვება. რუსეთის ხელისუფლებას გამარჯვების იმედი აქვს, რაც ძალიან საგანგაშოა.

– რას ნიშნავს კადიროვის უარი, ჩაატაროს მობილიზაცია ჩეჩნეთში?

– კადიროვს ეშინია, არ დაკარგოს ძალა – პრეტორიანული არმია, რომელიც მას ადგილობრივ დონეზე ეხმარება განუსაზღვრელი ძალაუფლების შენარჩუნებაში. შეიძლება ითქვას, კადიროვი სულთანია. ალბათ, მას ჩეჩნეთში იმაზე მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე პუტინს მთელ რუსეთში. ეს ძალაუფლება ხიშტებზე დგას. არის ინფორმაცია, რომ მის ჯარისკაცებს უკრაინაში ბრძოლებში გმირობა არ გამოუჩენიათ, რომ ისინი უფრო მეტად ძარცვითა და ძალადობით იყვნენ დაკავებული, გზის ჩამკეტი რაზმების ფუნქციას ასრულებდნენ. თუ ეს ინფორმაცია სიმართლეა, მაშინ კადიროვს მეტი მიზეზი აქვს საიმისოდ, რომ ისინი იქ (ფრონტის წინა ხაზზე) არ გაუშვას. ისინი შეიძლება დაიხოცონ. კადიროვს უნდა, ისინი ახლოს, საკუთარი ძალაუფლების გარანტად ჰყავდეს. ეს ხალხი მოულოდნელი სიტუაციების შემთხვევაშიც გამოადგება.

– შეუძლია თუ არა პუტინს, რაღაც მომენტში აიძულოს ლუკაშენკო, ჩაატაროს მობილიზაცია და ბელარუსები ომში გაგზავნოს?

– იური ფელშტინსკის გამონათქვამს მოვიყვან. ის მიიჩნევს, რომ პუტინს ლუკაშენკო სჭირდება დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელმძღვანელად. ბირთვული ომის გაჩაღების შემთხვევაში, თუ რაკეტები წავა ბელარუსის ტერიტორიიდან, პასუხიც აქ იქნება, და არა რუსეთის ტერიტორიაზე. ბელარუსის ანექსია რომ მოეხდინა, ეს იქნებოდა რუსეთის ტერიტორია.

თუ პუტინი ძლიერ ზეწოლას მოახდენს ლუკაშენკოზე, მათ შორის გაჩნდება უთანხმოება. ლუკაშენკო პუტინს დაუთმობს აეროდრომებს, ტერიტორიებს. ვფიქრობ, რომ ის თავს შეიკავებს ბელარუსი მებრძოლების უკრაინაში გაგზავნისგან. კადიროვივით, ლუკაშენკოსაც თავისი პრეტორიანული არმიის იმედი აქვს.

– თუ კრემლს მობილიზაცია არ უშველის, პუტინი იძულებული იქნება, გარკვეულ დათმობაზე წავიდეს?

– სასწაული უნდა მოხდეს, რომ პუტინი იძულებული გახდეს, ხელი მოაწეროს შეთანხმებას ზავის თაობაზე. ამ ადამიანს ამის უნარი არ გააჩნია. თეორიულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთი ამგვარ შეთანხმებას გააფორმებს, მაგრამ ეს იქნება პუტინის გარეშე.

თუ მოსკოვში არსებულ ძალაუფლების კორპორაციას წამყვანი წარმომადგენლები გამოაკლდებიან, ლუკაშენკოს მიმართ მხარდაჭერაც შესუსტდება.

თუ რაღაც მიზეზის გამო პუტინი წავა, რუსეთის ახალ ხელისუფლებას მოუწევს ახლებური დამოკიდებულების დემონსტრირება უკრაინის, ასევე ბელარუსის მიმართ. ეს იქნება შესაძლებლობა, წარმოაჩინონ თავი დასავლეთის წინაშე. შემდგომში ეს ადამიანები ეცდებიან დაამტკიცონ ერთგულება მეზობელი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის შენარჩუნების პრინციპისადმი. სტალინი რომ გარდაიცვალა, ის ბანდა, რომელიც პასუხისმგებელი იყო მისი რეჟიმის დანაშაულებზე, დასავლეთს უმტკიცებდა, რომ დემოკრატიისა და მშვიდობის მომხრეა.

– რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში მღელვარებაა მობილიზაციის გამოცხადების გამო. მოსალოდნელია თუ არა უფრო სერიოზული პროტესტები? შეიცვლება რამე?

– ამ მხრივ სკეპტიკურად ვარ განწყობილი. კორექციის შეტანა შეუძლია მხოლოდ რადიკალურ ქმედებებს, ძალადობრივ მოქმედებებს. ქუჩებში გამოსვლა ლოზუნგებით „არა ომს“ – მოქალაქეების მხრიდან ესეც სიმამაცეა, მაგრამ ეს არაფერზე გავლენას არ მოახდენს. მით უმეტეს, არ შეცვლის ძალაუფლების კორპორაციის პოზიციას.

სალომე ზურაბიშვილი ლუკაშენკოს ოკუპირებულ აფხაზეთში ვიზიტს გმობს

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ოკუპირებულ აფხაზეთში ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს ვიზიტს ეხმაურება და წერს, რომ ის მომხდარს მკაცრად გმობს.

– მკაცრად ვგმობ ალექსანდრე ლუკაშენკოს ვიზიტს ოკუპირებულ აფხაზეთში. ეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის, ჩვენი ორმხრივი ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაუშვებელი დარღვევაა, – წერს ზურაბიშვილი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ღრმა შეშფოთება გამოხატა ალექსანდრე ლუკაშენკოს რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს აფხაზეთის რეგიონში ჩასვლისა და სოხუმში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებთან შეხვედრის თაობაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ალექსანდრ ლუკაშენკოს ოკუპირებულ აფხაზეთში ჩასვლის გამო, ბელარუსის მხარეს დამატებითი განმარტებები მოსთხოვა და საგარეო უწყებაში პროტესტის ნიშნად საქართველოში ბელორუსის ელჩი ანატოლი ლისი დაიბარეს.

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო დღეს ოკუპირებულ აფხაზეთში ჩავიდა, სადაც ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიას შეხვდა.

„აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის, რუსლან აბაშიძის განცხადება დანაშაულია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თამაზ ხუბუა პასუხობს.

– ბატონო თამაზ, 27-30 სექტემბერი საქართველოსა და ქართველი ერისთვის ტრაგიკული დღეებია. გავიხსენოთ, როგორი იყო (ცხადია, 1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომი) რუსეთის როლი აფხაზეთში მომხდარ შეიარაღებულ, სისხლიან დაპირისპირებაში? მოგეხსენებათ, უდიდესი ტრაგედია მოხდა. შეიძლება ვიღაცას უნდა რუსეთის როლის დაკნინება, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ ამ ტერიტორიის აქტიურ კონტროლს დღეს რუსეთი ახორციელებს და მომხდარ ტრაგედიაში მისი როლიც განუზომლად დიდია.

– ერთგვარი ტრაგიკული დამთხვევაა. მოგეხსენებათ, ყოველ 10 წელიწადში აფხაზეთში აფხაზური სეპარატისტული გამოსვლები იყო, მაგრამ არ არსებობდა ისეთი ძლიერი პოლიტიკური დაჯგუფებები, რომლებიც შეძლებდნენ „დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ შეექმნათ.

ამ თემაზე მოსაუბრენი ზოგჯერ მეუბნებიან, რომ ცოტა ფრთხილი პოლიტიკა რომ გაგვეტარებინა, ცოტა ფრთხილი რომ ვყოფილიყავით, შეგვეძლო 14 აგვისტოს ომის დაწყებისა და 1992-93 წლების ტრაგედიის თავიდან არიდება, მაგრამ 14 აგვისტოს თუ არ დაიწყებოდა, დაიწყებოდა შემდეგ. რაც ცხადყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, 2014 წელს ყირიმის ანექსიამ და დღევანდელმა რუსეთ-უკრაინის ომმა.

რუსეთი საქართველოს ამ რეგიონს, ადრე თუ გვიან, მაინც დაესხმოდა თავს. გარკვეული მომენტების გათვალისწინებით, ერთი კვირით, ერთი თვით, ან მაქსიმუმ ნახევარი წლით გადაგვედო. მხედველობაში მაქვს ქართული მხარისადმი წაყენებული ბრალდება, რომ ქართველი საზოგადოება ითხოვდა ჯარების შემოყვანას აფხაზეთში, მაგრამ ასეთ მომენტებს ადგილი არ ჰქონია.

შეიძლება ცალკეული პოლიტიკოსები, 2-3 კაცი ითხოვდა, რომ საჭირო იყო ჯარი შემოსულიყო, მაგრამ აფხაზეთის მთელ ქართულ საზოგადოებას ასეთი მოთხოვნა არ ჰქონდა.

სხვათა შორის, ზოგი ჩვენი დევნილი პოლიტიკოსი, მაგალითად, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე, ბატონი რუსლან აბაშიძე 1-2 წლის წინ ამბობდა, რომ ქართველი ინტელიგენციის ბრალია, რომ ჩვენ იქიდან გამოგვდევნეს, მათ საჭირო სიფხიზლე და გამბედაობა ვერ გამოიჩინეს. ეს მოღალატეობრივი და დანაშაულებრივი განცხადებაა, რადგან აფხაზეთის ქართველმა ინტელიგენციამ საქართველოს ერთიანობისთვის, აფხაზეთის სიყვარულისთვის რომ გაიღო, დამისახელეთ, იმდენი მსხვერპლი ვინ გაიღო.

მე ზვიად გამსახურდიას მომხრე არ ვყოფილვარ, მაგრამ, სამწუხაროდ, აფხაზეთში ომს წინ უძღოდა სახელმწიფო გადატრიალება თბილისში, რითაც დაირღვა ჩვენი ერთიანობა. თვით ქართველებს შორის მოხდა დაპირისპირება, გაყოფა და სამოქალაქო ომი, რითაც მტერმა ისარგებლა. სანამ ამ ომის ყველა ორგანიზატორი, ვინც ცოცხალი დარჩა, სამსჯავროზე არ წარდგება, საქართველოს მომავალი ყოველთვის ბუნდოვანი იქნება და საზოგადოება ყოველთვის გაურკვეველ სიტუაციაში დარჩება.

თამაზ ხუბუა: „რუსეთი არის ქართველთა გამანადგურებელი, გენოციდის ავტორი ქვეყანა“

– საქართველოში 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალება, გარკვეულწილად, მოსკოვიდან იყო ორგანიზებული.

– რა თქმა უნდა, ყველაფერ ამის სულის ჩამდგმელი მოსკოვი იყო. ის რუსეთუმე პოლიტიკოსები, მაშინაც და დღესაც, ვინც თვლის, რომ ჩვენ შეიძლება ნეიტრალიტეტი გამოვაცხადოთ და თითქოს მოსკოვს შეუძლია მისი დაცვა, ეს სრულიად არასწორია.

სხვათა შორის, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოშიც გვყავს ისეთ დეპუტატები, რომლებსაც მშვიდობის გარანტად რუსეთი მიაჩნიათ, იმდენად მიამიტები არიან. შეიძლება, შეგნებულად რაღაც მომენტებს თავისებურად აფასებენ.

მე, რა თქმა უნდა, ამას არ ვეთანხმები. რუსეთი არის ქართველთა გამანადგურებელი, გენოციდის ავტორი, რომელიც თავისი ანექსიისტური პოლიტიკით ამას აგრძელებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში საქართველოს ტერიტორიაზე, ქართველთა მისამართით. თბილისიდან 20 კილომეტრში რუსის ჯარი დგას.

დღეს უკრაინაში მომხდარ უმძიმეს დანაშაულებზე საუბრობენ. საუბრობენ ბუჩაზე, მარიუპოლზე, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე. მართალიც არის, მაგრამ ეს აფხაზეთში – გაგრაში, ახლადაბაში, სოხუმში – დაიწყო, სადაც ქართველებს ცოცხლად წვავდნენ და ქართველების გენოციდი და ეთნიკური წმენდა განხორციელდა.

– ალბათ, საჭიროა ამ მასალების განახლება და წინ წამოწევა.

– გეთანხმებით, აფხაზეთის პროკურატურამ, მაშინდელი პროკურორის, ანზორ ლაცუზბაიას, მის გარშემო მყოფი სპეციალისტების ძალიან დიდი ძალისხმევითა და დამსახურებით, პროკურატურაში არაჩვეულებრივი დოკუმენტები დევს. მათ თავდაუზოგავად იმუშავეს, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციის, გაეროს ბრძოლისუნარიანობა, მისი ხელმძღვანელობის პოზიცია არაფრისმთქმელი იყო და არის, ჩვენი ხელისუფლება, ცენტრალური ხელისუფლება მონდომებულია, მაგრამ მე არ მომწონს საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულება და ფხიანობა ამ საკითხში. სანამ უკრაინის მრავალმილიონიანი ერი გაჟლეტის პირას არ დადგა, საერთაშორისო თანამეგობრობამ ვერ ირწმუნა, რომ რუსეთი არის პირსისხლიანი იმპერია და ის ქვეყნებსა და ერებს ანადგურებს, აწყობს გენოციდსა და ეთნოწმენდას.

– ინტერესები ჰქონდათ, რომელსაც ვერ თმობდნენ. ახლაც, უკრაინის ომის პირობებში, დასავლეთის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობიდან რუსეთის ბიუჯეტში 85 მილიარდი შევიდა, ანუ დასავლეთის დიდ ქვეყნებსაც ჰქონდათ ისეთი ინტერესები, რომლის ნაბიჯ-ნაბიჯ დათმობა ახლა უწევთ. ხომ ასეა?

– დიახ, დიდ სახელმწიფოებს ინტერესები აქვთ. პატარა სახელმწიფოებსაც აქვთ ინტერესები, ყველას თავისი ინტერესი გააჩნია, მაგრამ როცა საქმე გვაქვს ისეთ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთან, ისეთ სამხედრო, სამრეწველო და პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან, როგორიც რუსეთია, ცხადია, ის დააზიანებს ყველას – დიდ და პატარა სახელმწიფოებს. ამის გათავისება ძლივძლივობით, ძალიან დაბალი ტემპით, მაგრამ მსოფლიომ მაინც შეძლო.

აფხაზეთის ომი რომ იყო და 27 სექტემბერს სოხუმი დავკარგეთ, 300 ათასზე მეტი ადამიანი დევნილად იქცა, ჯოჯოხეთი გამოიარა (კიდევ რამდენი დაიღუპა) და დღესაც როგორ მდგომარეობაში არიან თავის სახლ-კარ მიტოვებული ადამიანები, გასაგებია. მიუხედავად ამისა, ძალიან სერიოზული იმედის ნაპერწკალია, რომ ამ ყველაფერს ადეკვატური შეფასება მიეცემა.

– მოვისმინე, რომ მაშინდელ სამთავრობო ჯარებს მოუწიათ სეპარატისტთა შეიარაღებულ ნაწილებთან ბრძოლა. კაცმა რომ თქვას, ჩვენ ვინ ვართ და ამხელა საქართველო რას წარმოადგენს, თუ ერთმა მუჭა სეპარატისტებმა რუსეთის ჩართვის გარეშე ომი მოგვიგეს?

– ძალიან კარგი შეკითხვაა. საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში ზოგიერთები ფიქრობენ, როგორ კუდით ქვა გვასროლინეს ერთმა მუჭა სეპარატისტებმაო.

სეპარატისტებს თავიანთი უდიდესი დანაშაული მიუძღვით, მაგრამ ქართველების ჟლეტაში უფრო ნაკლები მონაწილეობა მიიღეს აფხაზი ეროვნების ფორმირებებმა, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსულმა კაზაკებმა და რუსულმა რეგულარულმა ჯარმა. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ.

აფხაზ სეპარატისტებს თავისი პასუხი ექნებათ გასაცემი უფლის, თავისი ერისა და ქართველი ერის წინაშე. უკვე იძლევიან ამ პასუხებს და ხედავენ, რა მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი, მაგრამ საქართველოს ებრძოდა რუსეთის რეგულარული არმია. რუსული სამხედრო მანქანა მთლიანად ჩართული იყო. ჩვენ ერთი მუჭა ქვეყანა ვართ რუსეთთან შედარებით. ხომ ხედავთ, მთელი მსოფლიო იბრძვის და გარდატეხა ძლივს მოხდა. ახლა ხდება ამ საკითხის სამართლიანად წარმართვა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

მაშინ საქართველოში რთული ვითარება იყო – ძმათა შორის დაპირისპირება, სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. ამ ყველაფერმა ხელი შეგვიშალა – სად უნდა ვმდგარიყავით, ორიენტაციები აგვერია. ეს მომენტი დაგვერღვა. მერე კი შევეცადეთ გამოგვესწორებინა, მაგრამ დაგვიანებული იყო და დავისაჯეთ.

იცით, რისთვის დავისაჯეთ? დავისაჯეთ ღმერთის წინაშე ჩადენილი არაადამიანური საქციელისთვის, რაც ქართველებმა ერთმანეთს გავუკეთეთ. დავისაჯეთ იმისათვის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს მიამიტურად მივენდეთ, მხოლოდ მათკენ ვიყურებოდით და ჩვენი ერთად ყოფნის აუცილებლობა ვერ დავინახეთ. ამიტომ უფლისგან დავისაჯეთ. ეს გოლგოთა გავიარეთ. ეჭვი არ მეპარება, ახლა უკვე აღორძინების პერიოდი დაიწყება.

ნეკა დოროყაშვილი: „ნიკოლოზს სურდა განქორწინება, მაგრამ უნდოდა, მისი ფიქტიური ცოლი ვყოფილიყავი“

ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილის ყოფილი მეუღლის, ნელი დოროყაშვილის განცხადებით, ნიკოლოზ ბასილაშვილს განქორწინება სურდა, თუმცა უნდოდა, ის ფიქტიური ცოლი ყოფილიყო.

როგორც მან პროცესზე აღნიშნა, ურთიერთობის დაძაბვის შემდეგ, ის და ნიკოლოზ ბასილაშვილი ძალიან ხშირად საუბრობდნენ განქორწინებაზე.

– ნიკოლოზს სურდა განქორწინება, ოღონდ ეს ყველაფერი სასამართლოს გარეშე სურდა. ნიკოლოზს უნდოდა განქორწინება, მაგრამ უნდოდა, რომ მისი ფიქტიური ცოლი ვყოფილიყავი, რასაც არავინ დათანხმდება. გააგრძელებდით თქვენ ასეთ თანაცხოვრებას? ხელი გააწერო და ფიქტიური ცოლი იყო? ცოტა ცუდად ჟღერს, ქმართან ხელი გააწერო და ისე იცხოვრო, – განაცხადა დოროყაშვილმა.

კითხვაზე, თუ გაუუქმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა მას გენერალური მინდობილობა, როდესაც განქორწინდნენ და ჰქონდა თუ არა მის საბანკო ანგარიშებზე წვდომა, დოროყაშვილმა უპასუხა, რომ არ გაუუქმებია.

მან პროცესზე ასევე ისაუბრა იმაზე, რომ თურქეთში სამოდელო კონტრაქტი ნიკოლოზ ბასილაშვილის მხრიდან განხორციელებული წნეხისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო გაწყვიტა და ხელშეკრულებით დარღვევისთვის თანხა თავად აანაზღაურა.

ნელი დოროყაშვილის თქმით, მას იმდენად რთული ფსიქოემოციური მდგომარეობა ჰქონდა, რომ გადაღებების დროს ტიროდა.

– რა უნდა ვუსურვო ადამიანს, რომელმაც ასეთი ტანჯვა გამომატარა, მტერსაც არ ვუსურვებ, – განაცხადა დოროყაშვილმა ადვოკატის კითხვაზე საპასუხოდ, თუ რას უსურვებს ბასილაშვილს.

დამატებით კითხვაზე, უთხრა თუ არა მან ნიკოლოზ ბასილაშვილს შემდეგი სიტყვები, „ელოდე ბოროტი ნეკას ბოროტ საქციელს“, დოროყაშვილმა უპასუხა: „მითქვამს, ამით მივანიშნებდი იმას, რომ სასამართლოს მივმართავდი და ყველაფერს ვიტყოდი, რასაც მიკეთებდა, არასდროს სერიოზულად არ აღიქვამდა იმას, რომ ამას მართლა გავაკეთებდი“ – განაცხადა დოროყაშვილმა.

მისი თქმით, ბასილაშვილის მხრიდან განხორციელებულ ძალადობას, შვილის გარდა, არავინ შესწრებია. მისი თქმით, ძალადობის შემთხვევები ძირითადად სახლში ან სასტუმროში ხდებოდა.

ცნობისთვის, საქართველოს პროკურატურამ ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ნიკოლოზ ბასილაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც გულისხმობს ოჯახში ძალადობას არასრულწლოვანის თანდასწრებით. მოგვიანებით პროკურატურამ ბასილაშვილს ბრალდება დაუზუსტა და მას ძალადობის რამდენიმე ეპიზოდთან ერთად, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობასაც ედავებიან.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 21 მაისს, თბილისში, ავჭალის დასახლებაში, ნიკოლოზ ბასილაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ყოფილი მეუღლის, ნელი დოროყაშვილის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა. სამართალდამცველებმა ნიკოლოზ ბასილაშვილი 2020 წლის 22 მაისს დააკავეს. სასამართლომ ბასილაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 100.000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

ნიკოლოზ ბასილაშვილს ფიზიკური ძალადობის 4 და ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ ეპიზოდზე ედება ბრალი.

ყოფილი მეუღლის დაჭრისთვის ბრალდებულის საქმის წარმოება შეწყდა

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დიდუბეში ყოფილი მეუღლის დაჭრაში ბრალდებული ლევან ასლანიშვილის საქმის წარმოება შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველი სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა გახდა, რომლითაც დასტურდება ლევან ასლანიშვილის ფსიქიკურად შეურაცხადობა.

მოსამართლე დავით შარაძის გადაწყვეტილებით, ბრალდებული მაქსიმალური ვადით ხონის ფსიქიატრიულ კლინიკაში გაივლის მკურნალობას.

დაზარალებული მხარე აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება.

ცნობისთვის, 23 მაისს, ლევან ასლანიშვილმა, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, განსაკუთრებული სისასტიკით, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით, ყოფილ მეუღლეს დანით მრავლობითი დაზიანებები მიაყენა.

ბათუმში დენის დარტყმის შედეგად ქალი გარდაიცვალა

ბათუმში დენის დარტყმის შედეგად ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა.

გარდაცვლილი 45 წლის მზია ლაბაძეა.

რუსთავი-თბილისის გზაზე ავარია მსხვერპლით დასრულდა

რუსთავი-თბილისის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. როგორც თვითმხილველი ამბობს, კაცს, რომელიც საკუთარ სატვირთოსთან იდგა, სხვა ავტომობილი დაეჯახა. არსებული ინფორმაციით, კაცი ადგილზე გარდაიცვალა.

აშშ-ის საელჩო ამერიკელებს აფრთხილებს, დაუყოვნებლივ დატოვონ რუსეთი

მოსკოვში აშშ-ის საელჩო საკუთარ მოქალაქეებს მოუწოდებს, სასწრაფოდ დატოვონ რუსეთი.

საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული მობილიზაციის ფარგლებში, შესაძლოა ორმაგი, რუსეთ-ამერიკის მოქალაქეობის მქონე პირებიც გამოიძახონ.

– რუსეთმა შეიძლება უარი თქვას ორმაგი მოქალაქეების აშშ-ის მოქალაქეობის აღიარებაზე, ხელი შეუშალოს მათ აშშ-ის საკონსულოზე წვდომას, ხელი შეუშალოს მათი რუსეთიდან გამგზავრებას და ორმაგი მოქალაქეები სამხედრო სამსახურში გაიწვიონ, – აღნიშნულია განცხადებაში.

საელჩო აშშ-ის მოქალაქეებს აფრთხილებს, რომ რუსეთში არ გაემგზავრონ, მათ კი, ვინც ცხოვრობენ ან დროებით იმყოფებიან ქვეყანაში, „დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ რუსეთი“.

დიპლომატიური წარმომადგენლობა განმარტავს, რომ კომერციული ფრენის ვარიანტები რუსეთიდან „ამჟამად უკიდურესად შეზღუდულია“ და ხშირად სურვილისთანავე ხელმისაწვდომი არ არის.

მესტიასა და თბილისში ამოღებულია უკანონო იარაღი და დაკავებულია 3 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, თბილისსა და მესტიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღეს და სამი პირი დააკავეს. დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების მთავარი სამმართველოს და საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული თ.ბ., ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი პისტოლეტი, ცეცხლსასროლი რევოლვერი, 2 მჭიდი და 17 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, 1976 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.გ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს. სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1994 წელს დაბადებული დ.ვ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდი და 12 ვაზნა. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დაუფლების გამო დაკავებულია ორი პირი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა 13 პირის მიმართ დაიწყეს, მათ შორის 2 პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, გასულ წლებში, სოფელ გლდანის ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთების თითქოსდა ფლობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტებისა და ცრუმოწმეების გამოყენებით, მოტყუებით დაირეგისტრირეს საერთო ჯამში 150.126 ლარის ღირებულების 1.300 მ2 ფართობის სამი მიწის ნაკვეთი.

უწყების ცნობით, გამოძიების პროცესში მიწის ნაკვეთები დაყადაღდა.

აღნიშნული ქმედება ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილებით, თავისუფლების აღკვეთით 6-დან 9-წლამდე ვადით.

„ოცნების“ ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავეს

ტვ 25-ის ინფორმაციით, ბათუმის სპორტული ცენტრის ყოფილი დირექტორი, არჩილ ბარამიძე დააკავეს. მიზეზი უცნობია. შსს-ს ოფიციალური განცხადება არ გაუვრცელებია. ბარამიძე თანამდებობიდან 1 კვირის წინ გაათავისუფლეს.

ბარამიძე 2019 წლის აგვისტოდან 2022 წლის 25 იანვრამდე ხელვაჩაურის მერის მოადგილე იყო. იქამდე კი ხელვაჩაურში, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი.

ლარსზე ვინ და რატომ დააკავა რუსულმა სპეცსამსახურმა

საქართველო-რუსეთის საზღვართან ჩატარებული სპეცოპერაციის ფარული ჩანაწერები გავრცელდა – მასალაში ისმის ქართულად საუბარიც.

რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური იტყობინება, რომ დაკავებული არიან ტაქსის მძღოლები და რუსეთის საგზაო ინსპექციის თანამშრომლები. მათ რიგების გვერდის ავლით მოქალაქეები გამშვებ პუნქტამდე მიჰყავდათ.

ბოლო მონაცემებით, საზღვართან 30-კილომეტრიან რიგში ექვსი ათასი მანქანაა გაჩერებული.

„ჭავჭავაძეზე ვიღაც ტიპი გადმოვიდა მანქანიდან და იარაღით ძაღლი მოკლა“

სოციალურ ქსელში მოდელი ნათია ჩიქოვანი ჭავჭავაძის გამზირზე მომხდარ ინციდენტზე წერს, რა დროსაც, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა მოკლა ძაღლი, რომელსაც ადგილობრივები უვლიდნენ.

მისივე ინფორმაციით, მიმკედლებელს ადვოკატი უკვე აყვანილი ჰყავს და სათვალთვალო კამერების მეშვეობით ცდილობენ მისი ვინაობის დადგენას.

– 21 სექტემბერს, ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე, საღამოს 9 საათზე, ვიღაც ტიპი გადმოვიდა მანქანიდან და იარაღით ადგილზე მოკლა ჩორტიკა – 10-კილოიანი, პატარა შავი ქუჩის ცუგა, რომელიც დიდი ხანია იქ ცხოვრობს და რომელსაც იცნობდა მთელი უბანი. ჰყავდა ოფიციალური მიმკედლებელიც, ეკეთა საყელურიც.

10 წუთში, ადგილზევე დაიღუპა ჩორტიკა გულში მიყენებული ჭრილობით, განწირული ტირილის მეტი ვერაფერი მოასწრეს მასზე მზრუნველმა ადამიანებმა. ჩორტიკა ჭავჭავაძეზე პირველად რომ გამოჩნდა, ქუჩაში მარტო დარჩენილი, ძალიან შეშინებული პატარა ცუგა იყო, რომელიც პირველად ჟუჟუმ, კიდევ ერთმა ჭავჭავაძელმა ცუგამ შეიფარა, დაიმეგობრა და მას მერე განუყრელნი იყვნენ.

აი, ასე დაასრულა ვიღაც არაადამიანმა მათი მეგობრობა და ცხოვრებისეული ფსიქოლოგიური ტრავმა დაუტოვა ძალიან ბევრ, ამ ცხოველებზე მზრუნველ ადამიანს.

კომპანიონი ცხოველის მოკვლა ისჯება სისხლის სამართლის 259-ე მუხლით. ამ მუხლით გათვალისწინებული ყველაზე მძიმე სასჯელი 3 წლამდე ციხეა. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ცხოველებს ქუჩაში, აი ასე, უბრალოდ ხოცავენ ადამიანები და ჯერ არც ერთი ადამიანი ამისთვის არ დასჯილა.

ჭავჭავაძეზე კამერები იმდენია, რომ გინდოდეს, მაინც ვერსად დაიმალები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არავინ დაუკავებიათ. მიმკედლებლებმა აიყვანეს ადვოკატიც. ელემენტარული სამართალიც რომ საძებარი და სახვეწარია, იმ ქვეყანაში დაბადება ალბათ ყველაზე დიდი სასჯელია ადამიანისთვისაც და ყველა სხვა არსებისთვისაც. – წერს ნათია ჩიქოვანი.

მას შემდეგ, რაც ეს შემთხვევა მოხდა, ადგილობრივები წერენ, რომ ჩორტიკას შემფარებელი ჟუჟუ მის პლედში წევს და „თავი აქვს ჩამოდებული“.

ევროკომისიამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მერვე პაკეტი წარადგინა

ევროპულმა კომისიამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მერვე პაკეტი წარადგინა, რომელიც უკრაინაში შეჭრას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო რეფერენდუმების ჩატარებას უკავშირდება.

პაკეტი ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა გამოაცხადა.

– გასულ კვირას რუსეთი უკრაინაში ომის ახალ ესკალაციაზე წავიდა. რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფსევდო რეფერენდუმები – ეს არის უკანონო მცდელობა მიწის წართმევისა და ძალით საზღვრის შეცვლისა. მობილიზაცია და ბირთვული იარაღით მუქარა – პუტინის ესკალაციის შემდგომი ნაბიჯია. ჩვენ არ ვაღიარებთ ფსევდორეფერენდუმებს და ვაპირებთ გავაკეთოთ ისე, რომ კრემლმა ამისთვის გადაიხადოს, – განაცხადა ფონ დერ ლაიენმა.

მისი შეთავაზებაა, დადგინდეს ახალი აკრძალვა რუსეთის პროდუქციის იმპორტზე, რითაც რუსეთს, შემოსავლების სახით, 7.5 მილიარდი ევრო დააკლდება.

ასევე, მისი შეთავაზებაა, გაფართოვდეს პროდუქციის სია, რომლის რუსეთში ექსპორტირება აღარ მოხდება. ეს შეეხება დამატებით მასალებს ავიაციისთვის და ელექტრონულ კომპონენტებს, ასევე სპეციფიკურ ქიმიურ ნაერთებს.

– ასევე, გთავაზობთ, აიკრძალოს დამატებითი მომსახურებები რუსეთისთვის, ევროკავშირის მოქალაქეებს აეკრძალოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ყოფნა რუსულ კომპანიებში, – განაცხადა ფონ დერ ლაიენმა.

ბრიუსელს ასევე შემოაქვს სანქციების ახალი კატეგორია პირთათვის, რომლებიც ეხმარებიან რუსეთისთვის დაწესებული შეზღუდვებისთვის გვერდის ავლაში.

– მაგალითად, ადამიანები, რომლებიც საქონელს ყიდულობენ ევროკავშირში, მიაქვთ მესამე ქვეყანაში, შემდეგ კი იქიდან – რუსეთში. ისინი შესაძლოა, თავად გახდნენ სანქციების ობიექტები, – განაცხადა ფონ დერ ლაიენმა.

გარდა ამისა, ევროკავშირი გააფართოებს სასანქციო სიებს და შემოიღებს პერსონალურ სანქციებს რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და კრემლს დაქვემდებარებული ოკუპირებული ხელისუფლებების წარმომადგენლებისთვის უკრაინის ოთხ ოლქში, სადაც რუსეთმა ფსევდორეფერენდუმები ჩაატარა.

საფრანგეთი მზადაა, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მოლაპარაკებებს ხელი შეუწყოს

საფრანგეთი მზადაა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მოლაპარაკებებს ხელი შეუწყოს.

საფრანგეთის პრეზიდენტის ოფისის თანახმად, ამის შესახებ ემანუელ მაკრონმა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან საუბარში განაცხადა. გუშინ კი საფრანგეთის პრეზიდენტმა სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი ელისეის სასახლეში მიიღო.

საფრანგეთის პრეზიდენტის ოფისის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ მაკრონმა განმეორებით მოუწოდა თავის აზერბაიჯანელ კოლეგას, დაუბრუნდეს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს და დატოვოს ძალების თავდაპირველ პოზიციებზე, მაშინ, როდესაც ბოლო დღეების შეტაკებებს დიდი მსხვერპლი მოჰყვა. მაკრონმა ასევე გაიმეორა თავისი მოთხოვნა, რომ სომხეთის ტერიტორიულ მთლიანობას პატივი სცეს.

– სახელმწიფოს მეთაურმა პრეზიდენტ ალიევს განუცხადა, პრემიერ-მინისტრ ფაშინიანის მზადყოფნის შესახებ გაგრძელდეს მოლაპარაკებები ყველა გადაუწყვეტელ საკითხზე, ასევე,

საფრანგეთის მზადყოფნაზე ხელი შეუწყოს ამას, – წერია განცხადებაში.

ალექსანდრე ლუკაშენკო ოკუპირებულ აფხაზეთში ჩავიდა

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო ოკუპირებულ აფხაზეთში ჩავიდა. ლუკაშენკო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტ ასლან ბუჟანიას ბიჭვინთის აგარაკზე შეხვდა.

შეხვედრაზე ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმერ პუტინთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე აფხაზეთის საკითხი განიხილეს.

– გუშინ ჩვენს უფროს ძმასთან, ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინთან აფხაზეთის პრობლემები განვიხილეთ. ღამემდე ბევრი ვიმსჯელეთ ამ საკითხებზე და მივედით ერთ დასკვნამდე, რომ აფხაზეთის მიტოვება არ შეიძლება. მას დახმარება სჭირდება, რათა ეს აყვავებული მიწა, ხალხი, ვინც აქ ცხოვრობს, ნორმალურად ცხოვრობდეს, – განაცხადა ალექსანდრე ლუკაშენკომ.

მისი თქმით, ბელარუსია და რუსეთი კოორდინაციას უწევენ თავიანთ ქმედებებს.

– დღეს, როგორც არასდროს, ჩვენ ვნახეთ, რა გახდა მსოფლიო. მშვიდად ცხოვრების უფლებას არ მოგვცემენ. ამიტომ, მეგობრებთან ურთიერთობა უნდა გავამყაროთ, – აღნიშნა ლუკაშენკომ.

მისი თქმით, აფხაზეთთან არა მხოლოდ „მეგობრობის ხიდის“ აშენება, არამედ ძალიან სერიოზული ურთიერთობები სურთ.

– მე გამოცდილი ადამიანი ვარ, მრავალი წელია, პოლიტიკაში ვარ. ვისაუბროთ, ვიფიქროთ, როგორ ვიცხოვროთ. მთავარი ის არის, რომ აქ ხალხი ღირსეულად ცხოვრობდეს, რადგან ეს სამოთხეა დედამიწაზე, ხალხი კი – წმინდანები არიან. საბჭოთა დროიდან მახსოვს, როცა აქ ვიყავი. ამიტომ, ჩვენ გვინდა ავაგოთ არა მხოლოდ მეგობრობის ხიდი, არამედ ძალიან სერიოზული ურთიერთობები, – აღნიშნა ლუკაშენკომ.

იენს სტოლტენბერგი: „ჩრდილოეთის ნაკადის“ მილსადენებზე მომხდარი გაჟონვა დივერსიული აქტია“

„ჩრდილოეთის ნაკადის“ მილსადენებზე მომხდარი გაჟონვა დივერსიული აქტია, – ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა ბრიუსელში დანიის თავდაცვის მინისტრთან, მორტენ ბოდსკოვთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

– ჩვენი ძვირფასი მოკავშირე დანიის თავდაცვის მინისტრ მორტენ ბოდსკოვთან განვიხილეთ „ჩრდილოეთის ნაკადის“ მილსადენებზე მომხდარი დივერსია. ვისაუბრეთ ნატოს ქვეყნებში კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვაზე, – დაწერა სტოლტენბერგმა „ტვიტერზე“.

შეგახსენებთ, „ჩრდილოეთის ნაკადი 1“-სა და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის გაზსადენებიდან ბალტიის ზღვაში გაზმა გაჟონა.

ვოლოდიმირ ზელენსკი: „რუსეთს სურს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლები აიძულოს, არჩევანი გააკეთონ — ან მოგკლავენ, ან უნდა მოკლა“

უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, მოსკოვი გეგმავს უკრაინის ოთხი ოკუპირებული ოლქის ანექსიას და ის აიძულებს ადამიანებს, შეუერთდნენ რუსეთის ჯარს.

„ანექსიის მიზანი აშკარაა – ოკუპანტს სურს, ოკუპირებული ტერიტორიის მცხოვრებლები არმიას შეუერთოს“ – განაცხადა ზელენსკიმ ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ვიდეო მიმართვისას.

– ან მოგკლავენ, ან უნდა მოკლა – რუსეთს სურს აიძულოს ოკუპირებულ მიწებზე მცხოვრები ასობით ათასი უკრაინელი, ასეთი არჩევანი გააკეთოს, – აღნიშნა ზელენსკიმ.

შეგახსენებთ, სამშაბათს, გაეროს უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინის ტერიტორიის ანექსიის ნებისმიერი მცდელობა ნიშნავს, რომ „რუსეთის ამ პრეზიდენტთან სალაპარაკო არაფერია“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ფავორიტი ბექაურია – ექსპერტებმა ქართველი გამოარჩიეს

6 ოქტომბერს, ტაშკენტში, ძიუდოს 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სტარტს აიღებს. უზბეკეთის დედაქალაქში საქართველოს ნაკრები 11 სპორტსმენით იასპარეზებს.

90 კგ წონითი კატეგორიაში ერთ-ერთ ფავორიტად ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაური ითვლება და ძიუდოს ექსპერტებმა ქართველი განსაკუთრებით გამოარჩიეს, მაგრამ კონკურენტების სიაც მრავლად ჩამოთვალეს.

– ლაშა ბექაურმა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე 90 კგ-მდე წონით კატეგორიაში ოქროს მედლის მოპოვების შემდეგ მხოლოდ ერთ შეჯიბრზე იჭიდავა. და როდესაც ის სექტემბრის დასაწყისში დაბრუნდა, ეს არ იყო არც გრან სლემი ან გრან პრი, არამედ შედარებით მცირე ევროპის ღია პირველობა ობერვარტში, მან ძალიან მარტივად მოიგო.

ბუნებრივი კითხვაა, საკმარისია თუ არა მხოლოდ ამ ერთ შეჯიბრით გამოსვლა მსოფლიო ჩემპიონატის წინ. რა თქმა უნდა, მას ბევრი მოწინააღმდეგე ეყოლება. მათ შორის არის მისი თანამემამულე, ევროპის მოქმედი ჩემპიონი ლუკა მაისურაძე. სხვა საუკეთესო ძიუდოისტები, რომლებიც შეეცდებიან მის დამარცხებას, არიან: მამმადილ მეჰდიევი (აზერბაიჯანი), ივან ფელიპე სილვა მორალესი (კუბა), უსტოპირიონი (ტაჯიკეთი), ნოელ ვან ტ ენდი (ნიდერლანდები), ნემანია მაიდოვი (სერბეთი), კრისტიან ტოტი (უნგრეთი), კრისტიან პარლატი (იტალია) და, რა თქმა უნდა, მისი მეტოქე ოლიმპიურ თამაშებზე – ედუარდ ტრიპელი (გერმანია).

ამ წონით კატეგორიაში ბევრი საუკეთესო ფალავანია, მაგრამ მთავარი კანდიდატი ლაშა ბექაური იქნება, რომელიც 22 წლის ასაკში ეცდება, რომ დიდი სამეული შეკრას, რისთვისაც მას მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონობა აკლია.

გრიზმანის მომავალი გაურკვეველია

ანტუან გრიზმანის მომავალი ისევ გაურკვეველია. ბარსელონა და ატლეტიკო ვერ თანხმდებიან და არავინ იცის, სად იქნება ფრანგი ვარსკვლავი 2023 წლის ზაფხულში.

გრიზმანი ატლეტიკოში 2 წლითაა განათხოვრებული. კლუბებს შორის არსებული შეთანხმების მიხედვით თუ გრიზმანი მადრიდული გუნდის თამაშების ნახევარზე მეტში მიიღებს მონაწილეობას, „როხიბლანკოს“ მისი 2023 წელს 40 მილიონ ევროდ გამოსყიდვის ვალდებულება ექნება.

დედაქალაქელები ყველანაირად ცდილობენ, ეს პუნქტი არ გააქტიურდეს, რითაც თავადაც ზარალდებიან, ფეხბურთელიც, ბარსელონაც და საფრანგეთის ნაკრებიც.

ბოლო კვირებში გავრცელებული ცნობებით, კლუბები ახალ ფასზე მოლაპარაკებებს აწარმოებენ, მაგრამ შეთანხმება ჯერ კიდევ არ არსებობს.

სიტუაცია, შესაძლოა, სხვა გუნდების მხრიდან წამოსულმა დაინტერესებამ შეცვალოს. იტალიური და ბრიტანული მედიის ცნობებით, 31 წლის შემტევის დამატებით, ტურინის იუვენტუსი და მანჩესტერ იუნაიტედი არიან დაინტერესებულნი. თუ ბარსა ამ ორი კლუბიდან რომელიმესთან სარფიანად მოლაპარაკებას მოახერხებს, კატალონიელებს, შესაძლოა, ატლეტიკოსთან შეთანხმება აღარც დასჭირდეთ.

შედეგები

27 სექტემბერი
ფეხბურთი

უეფას ეროვნული ლიგა

ა დივიზიონი

პორტუგალია-ესპანეთი	0:1
შვეიცარია-ჩეხეთი	2:1

ბ დივიზიონი

ალბანეთი-ისლანდია	1:1
ირლანდია-სომხეთი	3:2
ნორვეგია-სერბეთი	0:2
უკრაინა-შოტლანდია	0:0
შვედეთი-სლოვენია	1:1

გ დივიზიონი

საბერძნეთი-ჩრ.ირლანდია	3:1
კოსოვო-კვიპროსი	5:1

ეჩ-2023 (21)

ფლეი ოფი

უკრაინა-სლოვაკეთი	3:0
ჩეხეთი-ისლანდია	0:0
დანია-ხორვატია	2:1(4:5პ)
ისრაელი-ირლანდია	0:0(3:1პ)

ამხანაგური მატჩები

უზბეკეთი-კოსტა რიკა	1:2
ს.კორეა-კამერუნი	1:0
ნეპალი-ბანგლადეში	3:1
ეკვადორი-იაპონია	0:0
ინდონეზია-კიურასაო	2:1
სენეგალი-ირანი	1:1
ემირატები-ვენესუელა	0:4
ბაჰრეინი-პანამა	0:2
დრ.კონგო-სიერა ლეონე	3:0
კანადა-ურუგვაი	0:2
ს.აფრიკა-ბოტსვანა	1:0
ჩილე-კატარი	2:2
ეგვიპტე-ლიბერია	3:0
კოტ დივუარი-გვინეა	3:1
ნიკარაგუა-განა	0:1
ს.არაბეთი-აშშ	0:0
ბრაზილია-ტუნისი	5:1
ალჟირი-ნიგერია	2:1
ბურკინა ფასო-კომორი	2:1
მალტა-ისრაელი	2:1
მაროკო-პარაგვაი	0:0
პერუ-სალვადორი	4:1
იამაიკა-არგენტინა	0:3
ჰონდურასი-გვატემალა	2:1
მექსიკა-კოლუმბია	2:3

ამხანაგური მატჩები (21)

ბელარუსი-ყაზახეთი	1:1
აზერბაიჯანი-მოლდოვა	0:0
რუმინეთი-ნიდერლანდები	0:0
პოლონეთი-ლატვია	1:1
ესპანეთი-ნორვეგია	3:0
თურქეთი-საქართველო	1:0
უნგრეთი-ლიეტუვა	1:0
ავსტრია-უელსი	2:0
ინგლისი-გერმანია	3:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჰაიდი კლუმი საზოგადოებაში ღრმა დეკოლტეთი გამოჩნდა

გერმანელი სუპერმოდელი, მსახიობი და ტელეწამყვანი ჰაიდი კლუმი საზოგადოებაში შიშველ სხეულზე ჩაცმული კაბით გამოჩნდა და ამით ფოტოგრაფების ყურადღება მიიპყრო.

49 წლის ცნობილი სახე Moschino-ს ბრენდის ჩვენებას დაესწრო, რომელიც მილანში მოდის კვირეულის ფარგლებში გაიმართა. ტელევარსკვლავი საზოგადოების წინაშე ანომალიურგამოსახულებებიანი კომბინეზონით გამოჩნდა, რომელიც ღრმა დეკოლტეთი იყო დამშვენებული. ჰაიდი კლუმს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა, ხელში კი შავი ხელჩანთა ეკავა.

კლუმის გარდა, მაღალი მოდის ჩვენებას ასევე ესწრებოდნენ: ალესანდრა ამბროსიო, კიარა ფერანი, ჯეი ბალვინი და სხვა ვარსკვლავები.

თორნიკე შენგელია: „ნბა-ში დაბრუნებას ვგეგმავდი“

საქართველოს ნაკრებისა და ვირტუს ბოლონიას ფორვარდი თორნიკე შენგელია ვარჯიშსაც შეუდგა და იტალიურ მედიასაც ესაუბრა. 30 წლის ქართველი კალათბურთელი, რომელიც 2012-14 წლებში ნბა-ში ბრუკლინ ნეტსსა და ჩიკაგო ბულსში თამაშობდა, აცხადებს, რომ ზაფხულში ოკეანის გაღმა ხელახალ დაბრუნების ვარიანტს განიხილავდა. თუმცა, როგორც უკვე ვიცით, მაინც იტალიურ კლუბში დარჩენა და მასთან კონტრაქტის 2024 წლამდე გაგრძელებას დათანხმდა.

თორნიკე შენგელია:

– ზაფხულში ნბა-ში დაბრუნებას ვაპირებდი. რამდენიმე კლუბისგან წინადადება მქონდა. საბოლოოდ, ჩემს ოჯახთან ერთად გადავწყვიტე, ვირტუს ბოლონიასთან ახალი კონტრაქტი გამეფორმებინა. კარგად გავეცანი კლუბის სისტემისა და გუნდის მუშაობას, მომწონს პროექტი, მწვრთნელი, მოთამაშეები და ქალაქი. ამ ყველაფერმა ერთად მიბიძგა ასეთი გადაწყვეტილებისკენ.

შენგელია ბოლონიელებს 2021-22 წლების სეზონის მიმდინარეობისას შეუერთდა, როდესაც უკრაინაში რუსების მიერ დაწყებული ომის გამო არსებული სპორტული რეგულაციებით ისარგებლა და მოსკოვის ცსკა დატოვა. თოკო ბოლონიელებს ევროთასზე მიღწეულ წარმატებაში დაეხმარა და გუნდის საკვანძო ფიგურა იყო. ახლა ევროლიგაში დებიუტს ელოდება, მაგრამ საწყის ეტაპზე ტრავმის გამო პარკეტზე ვერ გავა.

– დასანანია, რომ თამაშს თავიდანვე ვერ შევძლებ, მაგრამ ესეც სპორტის ნაწილია. ევროლიგაში ადრე მითამაშია და შევეცდები, მაქსიმალურად ძლიერი დავბრუნდე. მიუხედავად იმისა, რომ ვერ ვითამაშებ, მაინც გუნდის გვერდით ვიქნები, დავესწრები ვარჯიშებსა და თამაშებს და შევეცდები დავეხმარო, რითაც შემიძლია.

ბოლონიელები იტალიის სუპერთასის ნახევარფინალში ქვეყნის ჩემპიონ მილანოს ეთამაშება. თორნიკემ ამ გუნდების მეტოქეობაზეც ილაპარაკა, რომელიც ჯამში ამ სეზონის ოთხ ტურნირში შედგება (პლუს იტალიის ჩემპიონატში, იტალიის თასსა და ევროლიგაში).

– ვფიქრობ, ეს მეტოქეობა ყოველთვის განსაკუთრებული იყო. ის გაცილებით დიდი ხნით ადრე დაიწყო, ვიდრე აქ მოვიდოდი და ევროლიგაში ერთად ვითამაშებდით. ჩვენ მსგავსად, მეტოქეც გაძლიერდა და დაპირისპირება ძალიან საინტერესო იქნება. მათთან შეხვედრა სეზონის სასტარტო ოფიციალურ თამაშში – იტალიის სუპერთასზე გვიწევს. აქედანვე უნდა ვაჩვენოთ, რა შეგვიძლია. ყველა დაპირისპირება საინტერესო იქნება და მოუთმენლად ველი მათ წინააღმდეგ თამაშებს.

საქართველოს ყაზახეთი დაუჯდა, რას შეცვლის შესარჩევი ეტაპი

საბერძნეთის ნაკრებმა ც დივიზიონი ბოლო ტურში შინ 3:1 მოუგო ჩრდილოეთ ირლანდიას. ამ მატჩის შემდეგ გაირკვა, რომ 2024 წლის მარტში, საქართველო ნახევარფინალში ყაზახეთს უმასპინძლებს, ხოლო საბერძნეთი თურქეთს დაუხვდება.

გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდებიან და ევროპის ჩემპიონატის ერთ საგზურს გაითამაშებენ.

დღევანდელი მოცემულობით ასეა, თუ რამე კლასიკურმა შესარჩევმა არ შეცვალა. ამ ოთხეულიდან, ევროპირველობის საგზური რომელიმე გუნდმა 2023 წლის მარტში დაწყებული შესარჩევი ეტაპით რომ გავიდეს, მას ერთა ლიგაზე ჯგუფში მისი მომდევნო გუნდი დაიკავებს.

ახლა ვნახოთ რა ხდება ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრის წინ, რომელიც 9 ოქტომბერს, ფრანკფურტის „ფესტჰალეში“ 2022 წელს გაიმართება.

ბოლო მატჩებში გამარჯვების მიუხედავად, ვილი სანიოლის გუნდი, რეიტინგში 33-ე ადგილზეა (32-ე ტურნირიდან მოკვეთილი რუსეთია) და განთესილი მე-4 კალათაში იქნება.

კალათებში გუნდები ასე არიან გადანაწილებულები:

ერთა ლიგის კალათა: ნიდერლანდები, ხორვატია, ესპანეთი, იტალია;

1 კალათა: დანია, პორტუგალია, ბელგია, უნგრეთი, შვეიცარია, პოლონეთი;

2 კალათა: საფრანგეთი, ავსტრია, ჩეხეთი, ინგლისი, უელსი, ისრაელი, ბოსნია, სერბეთი, შოტლანდია, ფინეთი;

3 კალათა: უკრაინა, ისლანდია, ნორვეგია, სლოვენია, ირლანდია, ალბანეთი, მონტენეგრო, რუმინეთი, შვედეთი, სომხეთი;

4 კალათა: საქართველო, საბერძნეთი, თურქეთი, ყაზახეთი, ლუქსემბურგი, აზერბაიჯანი, კოსოვო, ბულგარეთი, ფარერები, ჩრ.მაკედონია;

5 კალათა: სლოვაკეთი, ჩრ. ირლანდია, კვიპროსი, ბელარუსი, ლიეტუვა, გიბრალტარი, ესტონეთი, ლატვია, მოლდოვა, მალტა;

6 კალათა: ანდორა, სან მარინო, ლიხტენშტაინი;

ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ტურნირი 2023 წლის მარტიდან 2024 წლის მარტამდე (ფლეი ოფების ჩათვლით) ჩატარდება და გაირკვევა 23 ნაკრები, რომელიც მასპინძელ გერმანიას შეუერთდება.

სულ 10 ჯგუფი დაკომპლექტდება. 7 ჯგუფი 5-ნაკრებიანი იქნება, ხოლო 3-ში – 6.

ერთა ლიგის ფინალის 4 მონაწილე მოხვდება 5-გუნდიან ჯგუფში (რათა 2023 წლის ივნისში ერთა ლიგის ფინალში ითამაშონ). საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები ტრადიციული მიმოსვლითი პრინციპით 2023 წლის მარტში, ივნისში, სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში.

10 ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გავა 2-2 საუკეთესო გუნდი. სულ – 20. პლუს მასპინძელი გერმანია, ხოლო დარჩენილი 3 ადგილი შეივსება ერთა ლიგის ა, ბ და ც დივიზიონების ფლეი ოფში (2024 წლის მარტი) გამარჯვებულებიდან.

21 წლამდე ნაკრებმა წაგებებს მოუხშირა

თურქეთი-საქართველო 1:0

სტამბოლი. ძაშიმფაშა

1:0 ბეიაზი (41პ)

თურქეთი: ბილგინი (ჩეთინი 46), იღითი (მიზრაქჩი 90), ბაირამი (ქოჯამანი 83), ალთიკარდეში, კარათაში, საათჯი (ბალთაჯი 83), ბეიაზი (იარდმიჯი 46, დესთანი 67), ბარასი (ვარდარი 46), იეშილი (შიმშირი 46, ბარაქი 90), თურქმენი, ილდირიმი (ილდიზი 62)

საქართველო: კუპატაძე, კალანდაძე, საზონოვი, გელაშვილი, გოჩოლეიშვილი, ხარაბაძე (კვერნაძე 57), ლ.გაგნიძე (კაპანაძე 69), ოსიყმაშვილი (შ.ნონიკაშვილი 57), მოისწრაფიშვილი, გულიაშვილი (ნ.ხორხელი 69), გაგუა (ლ.ხორხელი 69)

გაძევება: ქარათაში (67)

საქართველოს 21 წლამდე ნაკრებმა, ამხანაგური მატჩი თურქი თანატოლების წინააღმდეგ გამართა და სტამბოლში, რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობის ქაზიმფაშას სტადიონზე მასპინძლებთან მინიმალური სხვაობით, 0:1 დამარცხდა.

გამარჯვების გოლი, მასპინძლებმა თერთმეტმეტრიანით გაიტანეს – თავი პირველი ტაიმის მიწურულს ომერ ბეიაზიმ გამოიჩინა. ისიც უნდა ითქვას, რომ ძალზე საკამათო ეპიზოდი იყო, პენალტიც თურქმა მსაჯმა საეჭვოდ დანიშნა.

მასპინძლები მატჩის პირველ ნახევარში უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ მეორე ტაიმი ჩვენმა გუნდმა უფრო აქტიურად ითამაშა. ამას თან დაერთო 66-ე წუთზე ლუკა გაგნიძის წინააღმდეგ უხეშობისთვის მოედნიდან ქაზიმჯან ქარათაშის გაძევებაც.

მეორე ტაიმში მოპოვებული სათამაშო და რიცხობრივი უპირატესობა, ტაბლოზე ვერ აისახა და მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა.

რამაზ სვანაძე:

– პირველი ტაიმი იყო ყველაზე ცუდი, რომელიც ოდესმე გვითამაშია. მეორე ტაიმში შედარებით გამოვასწორეთ მდგომარეობა, მაგრამ ეს შედეგში არ აისახა.

ძალიან ცუდია, რომ დავმარცხდით, ზოგადად პირველად მოხდა ამ შეკრებაზე ბევრი რამ, პირველ რიგში ის, რომ 2 მატჩი წავაგეთ, მეორე ის, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მატჩი უგოლოდ დავასრულეთ. აუცილებლად მოხდება გადახედვა რიგი პოზიციების და, შესაბამისად, უკვე დასკვნები შემდეგ იქნება გამოტანილი. ფაქტი არის ერთი, რომ ჩვენ უკეთ შეგვიძლია თამაში, რაც ბევრჯერ დავამტკიცეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შეკრება ჩვენ ჩავაგდეთ – 2 მატჩი წავაგეთ. თუმცა, ჩემი გუნდის, ჩემი ფეხბურთელების მაინც მჯერა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ დასკვნები სწორად გამოვიტანოთ და შემდგომში ასეთი ჩავარდნები აღარ დაგვემართოს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები მსოფლიო თასზე მოხვდა

10-11 დეკემბერს ამერიკის ქალაქ კორალვილში თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს თასი გაიმართება, სადაც მსოფლიოს წამყვან გუნდებთან ერთად საქართველოს ნაკრებიცაა მიწვეული.

მსოფლიოს თასზე სულ 6 ნაკრები იასპარეზებს. ამათგან 5 მათგანი წელს გამართული მსოფლიო ჩემპიონატიდან შეირჩა და დაფიქსირებული შედეგებით მოწინავე ნაკრები იქნება. მეექვსე გუნდად კი, ხუთეულს მიღმა დარჩენილი ქვეყნების ბაზაზე შეკრებილი მსოფლიო ნაკრები დაემატება.

მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგებით კი, მსოფლიოს თასზე გამოსვლის უფლება აშშ-მ, ირანმა, იაპონიამ, მონღოლეთმა და საქართველომ მოიპოვეს.

ასევე ცნობილია, რომ 5-6 ნოემბერს ბაქოში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო თასი გაიმართება. იქ საქართველოს ნაკრები ვერ მოხვდა, მაგრამ სამი ჩვენებური – ნუგზარ წურწუმია (55), ლერი აბულაძე (63) და ჯონი ხეცურიანი (67) მსოფლიოს ნაკრებში იჭიდავებენ.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქართველი მეტალურგი, აკადემიკოსი; 2. დიდი ფორმატის, უხვად დასურათებული, მდიდრულად გაფორმებული ბეჭდური გამოცემა; 3. ჩეხი კომპოზიტორი; 4. გია დანელიას კინოკომედია; 5. სიტყვის ბოლოსართი გრამატიკაში; 7. ქართველი სუმოისტი; 11. ხელის მინიშნებითი, გამომხატველობითი მოძრაობა; 12. ძველებური ქართული ცხენოსნური თამაში-შეჯიბრება; 13. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 14. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა შექსპირის ტრაგედიები; 15. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 17. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 19. ირლანდიური ცეკვა.

თარაზულად: 5. ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქი; 6. თავფეხიანთა ოჯახის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 8. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირზე გადაცემის შესახებ; 9. წნული ქოხი სამეგრელოში; 10. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 11. ტკბილი, წითელი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 13. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი; 14. ქვეწარმავლის შხამი; 16. სამხრეთამერიკელ ინდიელთა ნაქსოვი, უსახელო მოსასხამი; 18. ევროპაზიის გამყოფი ქედი; 20. მოხარშული და გადაზელილი ყველი; 21. პერიოდული ბეჭდური გამოცემა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ანდაზა; 2. სოკერი; 3. რაუტი; 5. კალა; 6. კოლოსი; 8. სტურუა; 11. სენკევიჩი; 13. ვიოლინო; 14. კაბერნე; 15. სისტემა; 19. ნიცა.

თარაზულად: 1. ალადასტური; 4. ჰიჩკოკი; 7. დამასკო; 9. ტერტერა; 10. ოსერი; 12. ბოროდინი; 16. ხანჯლური; 17. ბოჰემია; 18. პერგამონი; 20. ჩამპინო; 21. პონი; 22. ანოტაცია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაროკო; 2. იშხანი; 3. დრამერი; 4. ღერღედი; 5. ბოცმანი; 7. სევილია; 11. ჰააგა; 12. ქაფშია; 13. მაჰატმა; 14. კარწახი; 15. შარადა; 17. გრიზლი; 19. ძოწი.

თარაზულად: 5. ბომარშე; 6. მაღრაძე; 8. ნივა; 9. ნეიძე; 10. ასკოტი; 11. ჰავა; 13. მასმედია; 14. კიაზო; 16. დგუში; 18. ლუარა; 20. ხატწერა; 21. დუბლეტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8336

ევრო — 2.7086

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.0243

100 რუსული რუბლი — 4.8156

ამინდის პროგნოზი 29 სექტემბრისთვის

პიკემ შესაძლოა კარიერა ატლეტიკოში გააგრძელოს

ბარსელონას ცენტრალური მცველი ჟერარ პიკე შესაძლოა მადრიდის ატლეტიკოს ფეხბურთელი გახდეს და ეს ტრანსფერი უკვე ზამთარში განხორციელდეს, რადგან პიკეს ბარსელონას დატოვება სურს. პიკემ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და ხავიმ მას რამდენჯერმე მიანიშნა, რომ მისი იმედი არ აქვს და პიკეს ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება გაუჭირდება.

ვილი სანიოლი: „რაღაც ასპექტები უნდა გამოვასწოროთ“

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა საქართველოს ნაკრების მატჩები შეაფასა და თქვა, რომ არის რაღაც დეტალები, რომლის გამოსწორებაზეც შეიძლება მუშაობა, თუმცა ის შედეგით კმაყოფილია და ნაკრებმა თავის მიზანს მიაღწია: „გიბრალტართან შეცდომები დავუშვით, რომელთა გამოსწორებაზეც უნდა ვიმუშაოთ, თუმცა მინდა შევაქო ნაკრების ფეხბურთელები და ვთქვა, რომ მათ დასახულ მიზანს მიაღწიეს და ჩვენ გულშემატკივარი გავახარეთ. მომავალში კიდევ უფრო ძლიერები უნდა დავბრუნდეთ“.

კრიშტიანო რონალდუს მანჩესტერიდან წასვლა სურს

მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელ ლეგენდას კრიშტიანო რონალდუს გუნდიდან წასვლა სურს და მას არ აკმაყოფილებს ის მდგომარეობა, რომელშიც დღეს კლუბი იმყოფება. მანჩესტერი არასტაბილურია და მათ ტიტულებისთვის ბრძოლა წელსაც გაუჭირდებათ. რონალდუ შეესაძლოა პორტუგალიაში დაბრუნდეს ან კარიერა საუდის არაბეთში გააგრძელოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ბუკა თოლორდავა რუსთაველის თეატრის სპექტაკლში „ერთხელ მხოლოდ!“ დააკავეს

მსახიობების კოტე თოლორდავასა და მარიამ ჯოლოგუას შვილი ბუკა თოლორდავა რუსთაველის ეროვნული თეატრის სპექტაკლში „ერთხელ მხოლოდ!“ დააკავეს.

მასთან ერთად ამ სპექტაკლში კიდევ ერთი ახალბედა მსახიობი ბექა მეძმარიაშვილი მონაწილეობს. ისინი პირველად რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე სპექტაკლში „ერთხელ მხოლოდ!“ წარდგნენ მაყურებლის წინაშე.

რუსთაველის ეროვნული თეატრის დასის შემადგენლობას, შესარჩევი კონკურსიდან შერჩეული 4 ახალგაზრდა მსახიობი შეუერთდა. ეროვნულმა თეატრმა მსახიობების შერჩევის მიზნით კონკურსი მაისში ჩაატარა, მასში მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დრამის და კინოს მსახიობის სპეციალობის სტუდენტს ან კურსდამთავრებულს შეეძლო.

შერჩევის პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავდა, სამხატვრო ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, რუსთაველის ეროვნული თეატრის დასის წევრები გახდნენ: ბუკა თოლორდავა, მარიტა მესხორაძე, ბექა მეძმარიაშვილი და ირაკლი კერესელიძე.

იუმორი

სამსახურის დაწყების მსურველ მამაკაცს ეკითხებიან:
– ჯარში იმსახურეთ?
– დიახ.
– ომშიც ნამყოფი ხართ?
– დიახ.
– დაჭრილი ხართ?
– დიახ, ფეხებთან ხელყუმბარა ამიფეთქდა და ორივე კვერცხი მომაგლიჯა.
– კარგით! მიღებული ხართ. ხვალ დილის 10 საათზე გამოცხადდებით სამსახურში.
– კი მაგრამ, სამუშაო ხომ 8 საათზე იწყება?
– 8-დან 10-მდე ყველანი სხედან და კვერცხებს იქექავენ იმაზე ფიქრში, თუ რა უნდა გააკეთონ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:
– რომელი ცნობილი პროვოკატორები იცი?
– მხოლოდ ერთი.
– რომელი?
– კომპოზიტორი მენდელსონი.
– რატომ არის პროვოკატორი?
– მილიონობით სულელისთვის „საქორწინო მარში“ დაწერა, თავად კი მთელი ცხოვრება უცოლოდ გაატარა.

●●●

მამაკაცს ეკითხებიან:
– მეუღლესთან საქორწინო კონტრაქტი გაქვთ გაფორმებული?
– მე მას უფრო ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტს დავარქმევდი.

●●●

ფსიქიატრი ბავშვს ეკითხება:
– აბა, თუ მეტყვი, რამდენი ფეხი აქვს კატას?
– ოთხი.
– რამდენი ყური აქვს კატას?
– ორი.
– რამდენი თვალი აქვს კატას?
ამ დროს ბავშვი დედას მიუბრუნდა და ეკითხება:
– დედიკო, ამ დებილს ფისო არასოდეს უნახავს?

●●●

ორი პოლიციელი შეიარაღებული დამნაშავის ასაყვანად მიდის. ერთი მეორეს ეუბნება:
– შენ პირველი შეხვალ, მე კი შენ გამო შურს ვიძიებ.

●●●

სამხედრო კომისარიატში წვევამდელი კომისარს ეუბნება:
– საზღვაო ფლოტში მინდა ვიმსახურო.
– ცურვა იცი?
– რა, გემები აღარ დაგრჩათ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დემნა პარიზში ახალ კოლექციას წარადგენს

ქართველი დიზაინერის დემნას ახალ კოლექციას მთელი მსოფლიო დიდი ინტერესით ელოდება.

დემნა ერთადერთი დიზაინერია საქართველოდან, რომელიც წლებია პოპულარობას არ კარგავს და მის მიერ შექმნილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი თუ აქსესუარები, ელვის სისწრაფით კოლოსალურ თანხებად იყიდება.

დიზაინერი მომდევნო შოუს 2 ოქტომბერს პარიზში, ადგილობრივი დროით 11:30-ზე გამართავს.

მატილდა გვარლიანი „დიორის“ ჩვენებაზე გამოვიდა

ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი აქტიურად მონაწილეობს მოდის კვირეულებში, სადაც სხვადასხვა ცნობილი ბრენდის უახლესი კოლექციებიდან სამოსს წარადგენს.

ამჯერად მატილდამ ცნობილი ბრენდის „დიორის“ ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა. მან პარიზის მოდის კვირეულზე გაზაფხული-ზაფხული 2023 წლის უახლესი კოლექცია წარადგინა.

ბექა გოჩიაშვილი: „ბოლომდე გადაჩეხვა მიდის საქართველოს სახელმწიფოებრიობის!“

ჯაზმუსიკოსი ბექა გოჩიაშვილი საქართველოში რუსების უკონტროლო შემოდინებას აპროტესტებს:

– ბოლომდე გადაჩეხვა მიდის საქართველოს სახელმწიფოებრიობის, დაღუპული ჯარისკაცების და ზოგადად ქართველი ერის თავმოყვარეობის.

ახალი წელი რო იყოს, მთავრობა გოზინაყით დახვდებოდა, გათხრიდნენ პირში და კლასიკა ფრაზა „ასე ტკბილად დაგვიბერდით“.

საქართველო ხდება „საკარტველო“!

უხუცესი მეცნიერი ია გაჩეჩილაძე დაასჯილდოვეს



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთ-ერთ უხუცესი თანამშრომელი, ცნობილი მეცნიერი, ქართველ კალიგრაფთა შემოქმედების თვალსაჩინო მკვლევარი, ქალბატონი ია გაჩეჩილაძე დაასჯილდოვეს.

მას მისივე მასწავლებლის, პროფესორ ილია აბულაძის სახელობის მედალი გადაეცა.

ნანა მჭედლიძის „პირველი მერცხალი“ აღდგენილია

რეჟისორ ნანა მჭედლიძის ფილმი „პირველი მერცხალი“ აღდგენილია. ფილმის აღდგენილი ვერსიის ჩვენება სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა.

კინოჩვენება კინოფესტივალის სექციაში „კლასიკა“ შედგა და მას რეჟისორის შვილი მაგდა მჭედლიძე დაესწრო.

სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალი ფესტივალების ა-კლასის კატეგორიას მიეკუთვნება და იგი ესპანეთში 1953 წლიდან ტარდება. ამ დროის მანძილზე, სან სებასტიანში არაერთი საეტაპო ფილმის მსოფლიო პრემიერა შედგა.

„პირველი მერცხალი“ ერთ-ერთი გამორჩეული და მაყურებლისთვის საყვარელი ფილმია ქართული კინოსა და თეატრის ვარსკვლავების მონაწილეობით. იგი ნანა მჭედლიძემ ფოთში 1975 წელს გადაიღო ლევან ჭელიძის სცენარის მიხედვით, რომლის შექმნაშიც თავად რეჟისორიც მონაწილეობდა.

„პირველი მერცხალის“ აღდგენის პროცესი ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით რამდენიმე თვის წინ დასრულდა.

კულტურის სამინისტროსა და ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, ფილმის აღდგენილი ვერსია ქართველმა მაყურებელმა ჯერ თბილისში, შემდეგ კი ფოთში უკვე იხილა. 47 წლის შემდეგ „პირველი მერცხალის“ ახალმა სიცოცხლემ და დიდ ეკრანზე დაბრუნებამ აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

29 სექტემბრისთვის

ვერძი – რთული დღეა. მოთმინება გმართებთ. საბოლოოდ მიზანს მაინც მიაღწევთ. ** კურო** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. გამოიჩინეთ ინიციატივა და სიმტკიცე. **ტყუპები** – ყველასთან გულახდილი ნუ იქნებით. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ. **კირჩხიბი** – საქმიანი პარტნიორებისაგან ხელსაყრელ შემოთავაზებას ელოდეთ. იყავით მადლიერი. **ლომი** – ყველაზე ჩახლართული სიტუაციებიდანაც კი გამოსავალს იპოვით. ენერგიულად ხართ. **ქალწული** – დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახში ემოციური ატმოსფერო, რაც პირად ცხოვრებაში წარმატებას განაპირობებს. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და მოთმინება. **ღრიანცალი** – ინტუიცია საკმაოდ გაგიმახვილდებათ. ნუ აჩქარდებით. საქმე დინჯად აკეთეთ. **მშვილდოსანი** – პოზიტიური დღეა. ჩანაფიქრის რეალიზაციას ბრწყინვალედ ახერხებთ. **თხის რქა** – დეპრესია გიტევთ. უსაქმოდ ნუ გაჩერდებით. ცდუნებას არ აჰყვეთ. **მერწყული** – მოულოდნელად მიღებული ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. ნუ იქნებით სუბიექტური. **თევზები** – დაეხმარეთ მეგობრებს, ახლობლებს, თუმცა საკუთარ საქმესაც ნუ დაივიწყებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ১



შვეულად: 1. ზედამხედველი გერმანიის უნივერსიტეტებში ძველად; 2. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 3. ავსტრიელი მწერალი, რომან „ამერიკის“ ავტორი; 5. საცხენოსნო შეჯიბრება; 6. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 8. დღის ყველაზე ცხელი მონაკვეთის სახელწოდება ესპანეთში; 11. მე-6 საუკუნის ეკლესია თბილისში; 13. ძველბერძენი მოქანდაკე; 14. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 15. პენიცილინის აღმომჩენი ფრანგი ექიმი; 19. ისტორიული სამთავრო სამხრეთ საქართველოში.

თარაზულად: 1. ძველ რომში სახლის ერთგვარი კუთხე, სადაც სურათებს ინახავდნენ; 4. ზედა გემბანი, სადაც განთავსებულია მაშველი ნავები და მათი ასაშვებ-დასაშვები მოწყობილობები; 7. ხელისუფლების დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს; 9. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10 სამხედრო საბრძოლო მანქანა; 12. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 17. ამერიკელი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 18. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 20. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 21. ველოსპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 22. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ერთ-ერთი ჯიში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა